# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 2009 წელი.

№ 254 (6354)



ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge



ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.


## თუ დემოკრატიულობას ირჩევებთ, მხარი დაუჭირეთ სახალხო სასამართლოს



ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს ზურაბ მელიქიშვილს 3

## გერმანელი ჯანდაბას, მაგრამ შენ რა გახარებს, ქართველო?!




6

რამ გაახსენა გაზეთ „საქართველო XXI“-ს სამი წლის წინანდელი „ვირო მადლის“ ისტორია?

## თბილისის „ძიძობა“ უნდათ, მაგრამ ჯერ მხოლოდ ფრჩხილებზე ლაქის წასმა იციან

როგორი მერი უნდა ამომრჩეველს და რა შანსები აქვს ოპოზიციას? 4

## კახა კუკავა: რესპუბლიკელებს ჰკითხეთ, რატომ ვერ შეინარჩუნა ოპოზიციამ ერთიანობა



3



## გვისმენენ და არ ესმით... გვიყურებენ და ვერ გვხედავენ... 2

## ევროპის უსაფრთხოების პროექტი – დასაგმობი თუ შესასწავლი? 5

## ნაძვები იჩეხება, განმკითხავი კი არავინაა!

7






## რაც მოგივა, დავითაო, ანუ რუსები აფხაზებს ავიწროებენ 2

◎ სიტყვა ერის გასაგონად

# გვისმენენ და არ ესმით... გვიყურებენ და ვერ გვხედავენ...

**ვარდების რევოლუციის შემდეგ მრავალს ეიფორია ასულდგმულებდა, მერე ნელ-ნელა გონებამ პროტესტის გამოხატვა დაიწყო, მაგრამ ხალხისთვის ეს არ ყოფილა მერკანტელიზმით განპირობებული პროტესტი. პროტესტი თანამდებობისთვის, სკამისთვის, ნიშნის მოგებისთვის, ეს იყო პროტესტი – ქვეყნის უკეთესი ცხოვრების სურვილის განმსაზღვრელი მდგომარეობა.**

მაშინ მეც და ალბათ ბევრი სხვაც ვფიქრობდით – „ჟირაფი დიდია და იგი უკეთ ხედავს". ცნობილ 7 ნოემბერს ყველანი ვიყავით ის, ვინც სცემეს და ისიც, ვინც სცემდა. ყველა ჯანსაღ ადამიანს საკუთარი მდგომარეობა აიძულებდა ორივე მხარის განცდა საკუთარ გულში გაეტარებინა. მერეც არაერთხელ გვეტკინა ყველასა და ყველაფრის გამო.

აგვისტოში მეც, ისევე როგორც ბევრი სხვა, ვკვდებოდით თითოეულ მოკლულ ქართველთან ერთად და ნაღდად არ მომილერებია ყელი, მჯიღს არ ვიცემდი ხელში ყანწმოღერებული, როგორც ეს ბევრმა პატივმიგებულმა თუ დღევანდელი გადასახედიდან აგრე რიგად დაფასებულმა პატრიოტმა ქართველმა გააკეთა.

სექტემბრის პირველ დღეებში ერთმა ჩემმა დიდი ხნის უნახავმა მეგობარმა მითხრა, მოტეხილხარო. და მეამაყებოდა, რომ არ გავტეხილვარ და ერთ კვირაში მოჭარბებული ქალარა აბა რა მოსატანი იყო იმასთან, რაც მოხდა.

და მერე იყო განცდა იმისი, რომ პუტინის ნათქვამის გამო ჩემი ქვეყნის პრეზიდენტი არსად არ უნდა წასულიყო. მაგრამ იყო იმისი სურვილი, რომ მას ეთქვა: „– ხალხნო, მე მეფე არ ვარ, მე ვარ თქვენს მიერ არჩეული პრეზიდენტი და იმის მიუხედავად, რომ ჩვენ ვებრძოდით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უძლეველ ჯარს, მივიღე გადაწყვეტილება გადავდგე!" დიახ, ამ სიტყვების მოსმენა მსურდა, ამ ქმედების დანახვა მინდოდა. მაგრამ...

ახლა ხელისუფლების მომხრეები ნუ შემომაგებებთ, უკეთესი ვინ მოვიდოდაო. ვაი, თქვენს პატრონს, იმას რომ ვერ ხვდებით, სააკაშვილს კი არ ვერჩი, ჩემი ქვეყნის პრეზიდენტისგან მინდოდა გმირი. მინდოდა წესებით თამაში, ისეთი წესებით, რომელიც მთელს მსოფლიოს განაცვიფრებდა, მე ვოცნებობდი, თუნდაც იმიტომ, რომ ოცნებას კაცი არ მოუკლავს...

მაგრამ თუ ღიად ნათქვამი არავის ესმის და მაშინვე მტერი ხდები, სურვილებს ვინღა გაიგებს, ვინღა გაშიფრავს, ვინ გაანალიზებს... არც არავინ!

სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში დამკვიდრებული წესების მიხედვით თუ პირუთვნელი მოყვარე ხარ, მაშინვე მტრად ინათლები და ქლესების დასაგესლად უშვერ ნაიარევ გულ-მკერდს.

ასე ყოფილა მუდამჟამს, მეფის მსტოვრების ამბავიც ალბათ უკეთ გახსოვს...

ამას წინათ ერთმა, ხელისუფლების და პირადად პრეზიდენტის ოპონენტმა, იქნებ მტერმაც კი, ასეთი რამ მკითხა: ოპოზიციამ რომ კარები ამიტალახა, იმას კი ვხდები რატომაც აკეთებენ, მაგრამ რაზე დგას პრეზიდენტის ძალაუფლება, რომელსაც გვერდით ამდენი არამზადა უდგასო? ან რატომ ფიქრობენ ეს ადამიანები, რომ სააკაშვილის ლანძღვის და მისი ღალატის გამო მე ფულს გადავიხდიო?..

რადგან ქვეყანაში პოლიტიკურ კლიმატს ხელისუფლება და ოპოზიცია უნდა ქმნიდნენ და ეს კლიმატი პირდაპირ პროპორციული უნდა იყოს საზოგადოების მოთხოვნისა, საინტერესოა, დავსვათ კითხვა, ესმის კი ან ერთს ან მეორეს იმ ხალხისა, ვისაც დღემუდამ ამაღლიან თავიან „ტანჯულ ბედს"? ჩვენთვის რუდუნებაში ხელებდაკაპიწებულებს, ხმაჩახლეჩილებს, ესმით კი ის, რა უნდა საზოგადოებას, რა უნდა ხალხს?

ისე, ჯერ კიდევ სამი ათეული წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ერთი შეხედვით თითქოს არაფრისმთქმელი სპექტაკლი გადიოდა, რომლის სათაური არც მეტი, არც ნაკლები, „ვინ ეკითხება ხალხს?!" იყო.



სპექტაკლი ერთი კორუმპირებული საბჭოთა ჩინოვნიკის ოჯახში განვითარებულ მოვლენას ასახავდა და იმის მიუხედავად, რომ დრამატურგიულად დიდად ვერ დაიკვეხნიდა, აქცენტი იმდენად სწორად იყო დასმული, რომ არ სჭირდებოდა ზედმეტი დაფიქრება, თუ რას და ვის ეხებოდა სცენაზე გათამაშებული წარმოდგენა. ახლაც ყურში ჩამესმის ქართული სცენის გამორჩეული ოსტატის ტარიელ საყვარელიძის (რამაზ საყვარელიძის მამაძ მიერ სრულიად განსხვავებულად, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი პათოსით წარმოთქმული – „ვინ ეკითხება ხალხს?!".

ახლაც ასეა ჩვენი საქმე. როცა ვჭირდებით, მხოლოდ მაშინ ვართ ბრძენნი და გენიოსნი, თუ არადა, ერთი დასაცინი, უტვინო ბრბო ვართ ყველა პოლიტიკური ძალისთვის, ინსტრუმენტი, მათი წარმატების მოსაპოვებელი, ელექტორატი, მექანიკური მანქანა, რომელიც ხან შიშით, ხან ანგარებით, ხანაც ემოციით, შეიძლება მეტწილად იმედით – ვირჩევთ, რათა შემდეგ უფრო მეტად დაგვცინონ...

არავის ესმის ჩვენი, და არც არავის სტკივა ჩვენი.

გვისმენენ... ყველას გვისმენენ... მოყურადებულნი არიან!... ყველაფერს იწერენ!... ყველაფერს შიფრავენ!... ყველაფერს სწავლობენ! – გავიძახით დღემუდამ.

გვისმენენ? ვინ გვისმენს, ვის ტკივა, ვის აწუხებს ჩვენი ნათქვამი და ვინ იზიარებს ჩვენს შფოთვას? პატივცემული ოპოზიცია თუ უფრო მეტად პატივცემული ხელისუფლება? რა გვეტყობა იმისი, რომ ვინმე იგებს ჩვენს ნათქვამს.

ვინ ფიქრობს მარხაანის ორლობის ბოლოში მდგარ მუხაზე, რომელსაც მუმლი შესევია?... ვის აწუხებს ის, რომ დედები შვილებს „წიქარას" ვერ უკითხავენ და პატარა დაჩი სულაც დაჩი ცაგურია ჰგონიათ, რომელმაც ნაღდად იცის, რომ ის დაჩი არაა, მაგრამ ფასეულობები აქვს მასთან თანაზიარი(?!).

**გვისმენენ და ესმით? ვინ – ვის? ის ოპოზიცია, რომლის წევრების მხოლოდ 0,001%-ია კრედიტინფოს სიაში, დანარჩენების მანდ არმოსახვედრად ან ამოსაშლელად „პოზიცია" რომ ზრუნავს? ის ოპოზიცია, რომელიც ტრიბუნის გარეშე საკუთარ ხალხთან საუბარს გაურბის და არც ვალდებულების აღების შნო და სურვილი აქვს და არც პასუხისმგებლობის ნატამალი გააჩნია? იქნებ ის ოპოზიცია, რომელიც საკუთარი ძალების რეგენერაციისათვის „დოპინგს" ხელისუფლების „აპტეჩკიდან" იღებს? იქნებ ის ოპოზიცია, რომელიც კრიტიკულ მომენტში ბრძნული გადაწყვეტილების მისაღებად რუსთაველზე დაცემულ კარავს მიაშურებს? ის ოპოზიცია, რომელმაც არც პოლიტიკური მარკეტინგი იცის და არც მენეჯმენტი? იქნებ ის ოპოზიცია, რომელმაც ადამიანებს ვერ გააგებინა რა უნდა, სად მიდის, რისთვის მიდის და როდის უნდა მივიდეს დანიშნულების ადგილზე? ითქვა რამე და ხალხმა ვერ გაიგო? რატომ ვერ გაიგო, ყრუა?**

იცის ოპოზიციამ რა სტკივა ხალხს? კიო, გვეტყვიან აუცილებლად, მაგრამ თუ იცის, რატომ ვერ ამბობს ამ სათქმელს და რატომ არ ეუბნება ხალხს, როგორ მოუვლის ამ ყველაფერს?

მოკლედ, გამოდის, რომ „გვისმენენ" ოპოზიციასთან მიმართებაში ნამდვილად გადაჭარბებულია.

მოსმენილის შედეგი არ არის ოფისიდან ოფისში ვოიაჟი და „მიშა პირსისხლიანის" ძახილი.

რაც შეეხება ხელისუფლებას, იქიდანაც „გვისმენენ... ყველას გვისმენენ... მოყურადებულნი არიან!... ყველაფერს იწერენ!... ყველაფერს შიფრავენ!... ყველაფერს სწავლობენ!..." მაგრამ არც მათ ესმით! ხალხის არ ესმით! თუმცა მათ აქვთ ერთი უპირატესობა – ისინი ასმენინებენ იმას, რაც მათ სურთ. თქვენ ესეც ვერ მოახერხეთ პატივცემულო ოპოზიციავ. და შედეგად, როგორც ნესტან კირთაძე ამბობს – „მიხაილ ნიკალაევიჩს, არც 7 ნოემბერს და მის შემდეგ, არც შემდგომი ბატალიებისას, არც მაშინ როდესაც მის „სახლთან" კარვები იყო მოწყობილი, ბუზიც კი არ აფრენია ცხვირწინ". მის რეიტინგს ვერაფერი მოუხერხეთ, ვერაფერი დააკელით და ერთხანს ყურისთვის შეუჩვეველი ფრაზა – „მიშა მაგარია!" თქვენი უსუსურობითა და უნიათობით ისეთ შეუვალ აქსიომად აქციეთ, რომ მის უარყოფაში მსოფლიოს ყველაზე წარმატებული – ნობელიანტი მეცნიერებიც კი ვერ დაგეხმარებათ.

ალალად ვთქვათ, მით უფრო, რომ ეს თავადაც კარგად იციან – არც ხელისუფლებას ესმის მუხისა, რომელსაც მუმლი აწუხებს, არც ტირიფისა, რომელსაც ცრემლი დაუშრა, არც დაჩისა, რომელსაც ზღაპრულ ქვეყანაში უნდა ცხოვრება და არა „დუბინკით" თავის გამტეხთაში.

უბედურება ისაა, რომ ხელისუფლება ვერც მაშინ ხვდება ვერაფერს, როდესაც ოპოზიციას, ადამიანებს ყიდულობს... ცოდვები თუ შეცდომები აქაც ბევრზე ბევრია და არც არავის შევაწყენ თავს ამის ჩამოთვლით.

ნათქვამია, ერთი კაცისთვის და ერთი უფლისთვისო... ისე, ან ერთმა, ან მეორემ ე.ი. ან ოპოზიციამ ან ხელისუფლებამ რატომ უნდა გვისმინოს, რატომ უნდა გაითვალისწინოს ჩვენი აზრი? ჩვენც ხომ არაერთხელ დავიბრმავეთ თვალი და დავყრუვდით, ჩვენც ხომ არა ერთხელ ვიყავით ფარისეველნი, ჩვენც ხომ არაერთხელ განვსაჯეთ და შევაფასეთ უსამართლოდ, ჩვენც ხომ არაერთხელ გავიყიდეთ გროშებზე თუ არა, ემოციებზე მაინც, ჩვენც ხომ არაერთხელ ვულალატეთ სამშობლოს, ჩვენც ხომ მუდამ ჩვენს თავზე ვზრუნავთ და ჩვენთვისაც ხომ ქვეყანა „მე"-თი იწყება და არა პირიქით...

ვარდების რევოლუციის მთავარი მონაპოვარია არა, „მიშა მაგარია!", როგორც ამას ის უსუსური პოლიტიკანები გვიმტკიცებენ, რომლებმაც ვერც ერთი პარამეტრით ვერ შეძლეს პრეზიდენტისა თუ მმართველი გუნდის წარმატებების აღიარება ან წარუმატებლობის წარმოჩენა. მთავარი მონაპოვარია, რომ საზოგადოება ნიჰილიზმისკენ მიექანება, თუ უკვე მისული არ არის „დანიშნულების ადგილას". მიზეზი კი ისაა, რომ გვისმენენ და არ ესმით... გვიყურებენ და ვერ გვხედავენ... მოკეთეს მტრად რაცხავენ და მტერს კი – ნეტარად...

**გოჩა მირცხულავა,**
**„ჯი-ეიჩ-ენი"**

◎ ინფორმაცია

## სად ხომალდი და – ფუნთუშა?!

**საქართველოში** საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ერიკ ფურნიეს განცხადებით რუსეთისთვის ფრანგული უნივერსალური სადესანტო ხომალდ „მისტრალის" მიყიდვასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

– მომხმარებელი, როგორც წესი, პროდუქციით ინტერესდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უკვე არსებობს გაყიდვის შესახებ შეთანხმება. მაგალითად, როცა მიდიხარ საფუნთუშეში, ათვალიერებენ ნამცხვრებს, მაგრამ არც საფრანგეთსა და არც რუსეთს გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღიათ, – განაცხადა ფურნიემ.

## კარასინმა და ჰამარბერგმა საქართველოზე ისაუბრეს

**რუსეთის** ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლეს კომისარს თომას ჰამარბერგს შეხვდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით ჰამარბერგი მოსკოვში სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

მისივე ინფორმაციით, კარასინმა და ჰამარბერგმა შეხვედრისას საკითხთა ფართო სპექტრი განიხილეს. მათ შორის საუბარი შეეხო ჰამარბერგის მიერ ახლახან ე.წ. სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ ვიზიტსა და საერთაშორისო ორგანიზაციების ყოფნას კავკასიის რეგიონში.

## „უთანხმოებებმა თანამშრომლობაში ხელი არ უნდა შეგვიშალოს"

**ნატოს** გენერალური მდივანი ანდრეს ფოგ რასმუსენი აცხადებს, რომ ნატოსა და რუსეთს შორის სხვადასხვა საკითხებში არსებული უთანხმოებები მათ საერთო ინტერესებს ხელს არ უნდა უშლიდეს.

– ჩვენ არც თუ ისე ცოტა უთანხმოება გვაქვს, მაგრამ მათ არ უნდა დაჩრდილონ ნატოსა და რუსეთის საერთო ინტერესები, – განაცხადა რასმუსენმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრაზე.

თავის მხრივ სერგეი ლავროვმა კმაყოფილება გამოხატა ნატოსა და რუსეთს შორის ურთიერთობების ნორმალიზაციის გამო.

## ლიტველებმა საქართველოდან თავიანთი ელჩი გაიწვიეს

**ლიტვის** პრეზიდენტმა საქართველოში ლიტვის ელჩი მეჩის ლაურინკუსი გაიწვია. დალია გრიბაუსკაიტეს ბრძანებით, ლაურინკუსმა საქართველო 24 საათის განმავლობაში უნდა დატოვოს.

ლიტვის პრეზიდენტი აღნიშნულის მიზეზად „დიპლომატისადმი ნდობის დაკარგვას" ასახელებს.

ლაურინკუსი საქართველოში ელჩად 2008 წლის სექტემბრიდან მოღვაწეობს.

## სახელმწიფო უნდა ჩაერიოს

**„ალიანსი საქართველოსთვის"** ერთ-ერთი ლიდერი დავით გამყრელიძე ფარმაცევტულ კომპანიებს „პე-ეს-პეს" და „ავერსს" შეთანხმებულ მოქმედებებში ადანაშაულებს. გამყრელიძის თქმით, პრეპარატებს, რომლებიც „ავერსში" იყიდება, არ იყენებს „პე-ეს-პე".

გამყრელიძე აცხადებს რომ „პე-ეს-პემ" ხელში ჩაიგდო რამდენიმე საავადმყოფო იმისთვის, რომ თავისი წამლები გაესაღებინა.

ეს არის შეთანხმებული მუშაობა და სასწრაფოდ უნდა შეიქმნას მუნიციპალური აფთიაქების ქსელი, რათა შეწყდეს ეს არარეალური ფასნამატები.

საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე შექმნილი მონოპოლიის დასაძლევად „ალიანსი საქართველოსთვის" მოითხოვს მოხდეს ფარმაცევტული ბაზრის სასწრაფო დემონოპოლიზაცია; აიკრძალოს ერთი და იგივე ბიზნესჯგუფის მიერ წამლის მიწოდების, ჰოსპიტალური მომსახურებისა და სადაზღვევო საქმიანობის წარმოება; სახელმწიფომ უზრუნველყოს წამლის ფასების კონტროლი და რეგულაცია, ისე, რომ ფასნამატი კომერციულ ქსელში 30-35%-ს არ აღემატებოდეს; სახელმწიფომ დაიცვას ბაზარი უხარისხო ფალსიფიცირებული წამლებისაგან.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ აფხაზეთი – ტკივილი ჩვენი

# რაც მოგივა დავითაო,

## ანუ რუსები აფხაზებს ავიწროვებენ

**„ოკუპანტებად" რუსების აღქმა სეპარატისტულ აფხაზეთში უკვე უბრალო მოსახლეობამ სულ უფრო და უფრო აქტიურად დაიწყო. „იმის გამო, რასაც რუსეთი აფხაზეთში სჩადის, მრავალი აფხაზი, თან არა მხოლოდ გუდაუთელი აფხაზებიც ხვდებიან, რომ რუსებთან მათ არასოდეს ექნებათ ბედნიერი ცხოვრება, როგორიც ქართველებთან ჰქონდათ, – განაცხადა ინფორმირებულმა წყარომ აფხაზეთიდან და რამდენიმე მაგალითიც მოიყვანა.**




– როდესაც გაგრაში ლუჟკოვის ცოლი ჩამოვიდა და მიწების შესყიდვა დაიწყო, ერთმა ადგილობრივმა აფხაზმა მას წინააღმდეგობა გაუწია – ჩემი მიწაა და არ მოგყიდიო (მიწის ის ნაკვეთი მართლაც იმ გაგრელ აფხაზს ეკუთვნოდა). იცით რა უპასუხა ლუჟკოვის ცოლმა? – რომელი მთიდანაც ჩამოხვედი, დაბრუნება იქ მოგიწევს და ჩვენ თქვენთვის არ გვიომიაო. საბოლოო ჯამში ლუჟკოვის ცოლმა მაინც მიიღო ის, რაც უნდოდა, – გვიამბობს წყარო.

**მაგალითი მეორე:** – ერთ აფხაზ მილიციელს სოჭელი რუსი მილიციელის ვალი ემართა. როგორც ჩანს, აფხაზმა მილიციელმა რუსის ე.წ. გადაგდება მოისურვა. ამის პასუხად რუსი მილიციელი აფხაზეთში შეიარაღებული ჩავიდა და აფხაზი მილიციელი მრავალი თვითმხილველის თვალწინ დახვრიტა. მას, რა თქმა უნდა, არავინ არაფერი არ უთხრა და იგი ისევე მშვიდად დაბრუნდა სოჭში, როგორც ჩამოვიდა.

**მაგალითი მესამე:** – საერთოდ, როდესაც რუსეთის მთავრობას რამე სურს, ხოლო აფხაზური მთავრობა ეწინააღმდეგება, რუსეთი მდინარე ფსოუზე არსებულ საზღვარს კეტავს. ეს საზღვარი ხომ ერთადერთია, რითიც ამჟამად აფხაზეთი იკვებება.

როდესაც ოლიმპიადის სოჭში ჩატარება გადაწყდა, რუსეთის მთავრობამ ფსოუდან გუდაუთამდე მიწების 25-წლიანი იჯარით (თითქოს იჯარით) აღება მოითხოვა. მაშინ აფხაზებმა მათ ამაზე უარი უთხრეს, რუსებმა საზღვარი დაკეტეს. რამდენიმე ხნის შემდეგ აფხაზებს რუსების პირობების მიღება და დათანხმება მოუწიათ.

– ამჟამად აფხაზეთში ყველა საზღვრის გუდაუთამდე გადმოწევას ელოდება, – გვიამბობს წყარო და აფხაზური ტელევიზიით ალექსანდრე ანქვაბის ერთ გამოსვლას იხსენებს. მაშინ ანქვაბმა განაცხადა შემდეგი: – მას, ვისაც აფხაზური მიწების მუქთად ხელში ჩაგდების იმედი აქვს, ძალიან ცდება. ეს რუსებისთვის იყო განკუთვნილი და ამაში აფხაზებსა და რუსებს დიდი პრობლემა აქვთ! – აცხადებს წყარო და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთის მცხოვრებლები უკვე საუბრობენ იმაზე, რომ თითქმის მთელი გაგრა ჟირინოვსკის აქვს გამოსყიდული, ხოლო ლუჟკოვს სოხუმის მთელი სანაპირო.

ჯი-ეიჩ-ენი

პოზიცია

***ოპოზიცია ადგილობრივ არჩევნებზე გეგმავს ერთიანი კანდიდატის წარდგენას. რომლის გამოსავლენადაც, კონსერვატიული პარტიის ინიციატივით ინტერნეტგამოკითხვები უკვე მიმდინარეობს. კონსერვატორთა აზრით, ხელისუფლებასთან ბრძოლა არათანაბარ პირობებში და არასამართლიან გარემოში მოუწევთ, მაგრამ ოპოზიცია გამარჯვებისთვის ემზადება, წინააღმდეგ შემთხვევაში, საპროტესტო აქციების ყველაზე მასშტაბური ტალღის აგორებას გეგმავს. მომავალი ადგილობრივი არჩევნებისა და ოპოზიციის გეგმების შესახებ „ჯი-ეიჩ-ენი“ კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს კახა კუკავას ესაუბრა.***

# „რესპუბლიკელებს ჰკითხეთ, რატომ ვერ შეინარჩუნა ოპოზიციამ ერთიანობა“



— 2009 წელი ყველა მხრივ წარუმატებლობის წელი იყო — ქვეყნის, ოპოზიციის, ხელისუფლების, ეკონომიკისა და პოლიტიკის. ლოგიკურია, რომ როცა ხელისუფლება წარუმატებელია, ვერც ოპოზიცია, ეკონომიკა თუ ნებისმიერი სფერო, ქვეყანა ვერ იქნება წარმატებული. სამწუხაროდ, ეს არის ქვეყნის წარუმატებლობის კიდევ ერთი წელი. ეს არის კიდევ ერთი დაკარგული წელიწადი საქართველოს განვითარებისთვის და ყველა წელი ასეთი იქნება, სანამ საქართველოს ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი გვეყოლება.

**— რატომ ვერ შეინარჩუნა ოპოზიციამ ერთიანობა?**

— ეს რესპუბლიკელებს უნდა ჰკითხოთ. პირველი ისინი გამოეყვნენ ოპოზიციას და შემდეგ ამას დომინოს პრინციპი მოჰყვა.

**— კონსერვატორების ინიციატივით მიმდინარეობს პრაიმერი, როგორ ფიქრობთ, რამდენად ობიექტური რეზულტატი იქნება საბოლოოდ?**

— გამოკითხვებს, რა თქმა უნდა, არა აქვს სიზუსტეზე პრეტენზია. ყველაზე კვალიფიციური კვლევებიც კი როცა ქვეყნდება, მიუთითებენ, რომ ცდომილება არის გარკვეული პროცენტი. გამოკვლევები იმიტომაც არის გამოკვლევები, რომ ეს არის ვარაუდი და მას სიზუსტეზე არ აქვს პრეტენზია. ეს იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას. სიზუსტეზე პრეტენზია არ გვაქვს, თუმცა რაღაც ტენდენციებს, ისევე როგორც ყველა კვლევა, ესეც აჩვენებს.

**— რამდენად ეფექტურ კონკურენციას გაუწევს თქვენი კანდიდატი სახელისუფლებო კანდიდატს?**

— ჩვენი კანდიდატი ვერ გაუწევს კონკურენციას სახელისუფლებო კანდიდატს, თუ ის არ გახდა ერთიანი კანდიდატი. ამიტომაც ვმუშაობთ იმაზე, რომ ის გახდეს ოპოზიციის ერთიანი კანდიდატი.

**— ოპოზიცია აკრიტიკებდა საარჩევნო კოდექსს და აცხადებდა, რომ არსებული საარჩევნო კოდექსის პირობებში არჩევნებში მონაწილეობის მიღება აზრს კარგავს, თუმცა ოპოზიცია მონაწილეობას მიიღებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. რა გარანტია არსებობს იმისა, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდება?**

— ერთიანობა. ერთიანობა არის ამის გარანტია. თავიდანვე გვქონდა განსხვავებული ტაქტიკა რესპუბლიკელებისგან, რომლებიც ამბობდნენ, რომ საარჩევნო კოდექსი უნდა გავაუმჯობესოთო და შევიდნენ NDI-ის ჯგუფში. ჩვენ ვამბობდით, რომ ეს დამთავრდება ფიასკოთი და ასეც მოხდა. ხელისუფლებას თუ საარჩევნო კოდექსი შევაცვლევინეთ, სიტყვის თავისუფლება დავათმობინეთ, კარგი საარჩევნო გარემო შეიქმნა, მაშინ რად გვინდა ასეთი ხელისუფლების შეცვლა? ხელისუფლების შეცვლა გვინდა იმიტომ, რომ ის არ ატარებს ამ რეფორმებს. ამიტომ ის, რომ ჩვენ სამართლიან გარემოში გვექნება ხელისუფლებასთან დაპირისპირება, არის ილუზია. უნდა ვიცოდეთ, რომ ხელისუფლებასთან მოგვიწევს არასამართლიან პირობებში დაპირისპირება და უნდა მოვიგოთ არასამართლიან გარემოში არჩევნები. ასეთი არასამართლიანი გარემო როდესაც არის, უნდა იყო მასზე არა ერთი და ორი თავით მაღალი, არამედ მთელი ათი თავით მაღალი და ამიტომ არის საჭირო ერთიანობა. საპრეზიდენტო არჩევნები არ გაყალბდა თბილისში?! გაყალბდა, მაგრამ როდესაც გვქონდა უპირატესობა ათი ერთზე, ველარ დაწერეს, რომ ეს ყველაფერი იყო პირიქით. რა თქმა უნდა, შეამცირეს სხვაობა, მაგრამ მოგება დაადასტურეს. ახლაც, თუ გვექნება შეფარდება ათი ერთზე და ყველა გავერთიანდებით, რაც არ უნდა გააყალბონ, შევძლებთ, შედეგი ვაჩვენოთ, მაგრამ თუ იქნება ნაკლები სხვაობა ოპოზიციურ კანდიდატებს შორის, ხელისუფლება ამას უფრო ადვილად გააკეთებს, ანუ სინამდვილეში გასაღები არის ოპოზიციის ერთიანობაში და არა საარჩევნო კოდექსში.

**— ბოლო პერიოდში ოპოზიციის რეიტინგი შემცირდა. როგორ ფიქრობთ, რა არის ამისი მთავარი მიზეზი?**

— ოპოზიციის რეიტინგის შემცირება არ იქნება სწორი ფორმულირება. შეიძლება ითქვას, ცალკეული ოპოზიციური პარტიების რეიტინგები შემცირდა. ეს მათი პასიურობითაა გამოწვეული. ჯამში, საპროტესტო ელექტორატი არ მცირდება, ანუ რეალობა არის ასეთი: ხელისუფლების რეიტინგი არის 20-იდან 30%-მდე, ოპოზიციის — 60-80-მდე.

**— თქვენი აზრით, რამ გამოიწვია თუნდაც ცალკეული ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების რეიტინგის დაცემა?**

— ალბათ, არასწორმა ტაქტიკამ. ბევრი არასწორი ტაქტიკური ნაბიჯი გადაიდგა. ძირითადი მიზეზი არის ის, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლო გაერთიანება. თუ დავაკვირდებით, ოპოზიციის რეიტინგი იზრდება, როდესაც არის ოპოზიციური ერთიანობა. ოპოზიციის კანდიდატის ლევან გაჩეჩილაძის რეიტინგი თბილისში, ალბათ, 60-70% იყო საპრეზიდენტო არჩევნების დროს. მაგრამ როცა გაერთიანებული ოპოზიცია დაიშალა, ცალკეულმა ჯგუფებმა ეს რეიტინგი ველარ შეინარჩუნეს, ანუ დიდ რეიტინგს სჭირდება დიდი ორგანიზაცია.

**— თუ არჩევნები კვლავ გაყალბებით ჩატარდა, ამ შემთხვევაში როგორი იქნება ოპოზიციის ნაბიჯები?**

— ეს დამოკიდებულია იმაზე, ვინ იქნება ერთიანი კანდიდატი. ზოგიერთი ჩვენი კოლეგა ოპოზიციონერი არის ყველანაირი აქციის წინააღმდეგი. ჩვენ რომ აქციები გვქონდა, მოდიოდა და ქუჩა გახსენითო, ჩვენ გვიწყობდნენ აქციებს, ანუ თუ ეს ხალხი იქნება ბრძოლის სათავეში, სავარაუდოდ, არც არაფერი შეიცვლება და წაგებული შედეგების ლეგიტიმაცია მოხდება. თუ იქნება ზვიად ძიძიგური ან სხვა რომელიმე გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი, როგორც ერთიანი კანდიდატი, გაყალბებულ არჩევნებს მოჰყვება საპროტესტო აქციების, ალბათ, ყველაზე მასშტაბური ტალღა.

ესაუბრა
**რიტა ყაველაშვილი**

მიმართვა

# თუ დემოკრატიულობას იჩემებთ, მხარი დაუჭირეთ სახალხო სასამართლოს

## ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალურ მდივანს ზურაბ მელიქიშვილს

ბატონო ზურაბ,

გიდასტურებთ თქვენდამი ჩვენს დიდ პატივისცემას, გამოვთქვამთ თანამშრომლობის სურვილს და გაცნობებთ, რომ თაბუკაშვილის ქ. №46-ში გაიხსნა **„სახალხო (ხალხის) სასამართლოს“** ოფისი.

**„სახალხო (ხალხის) სასამართლოს“** ჩამოყალიბება ითვალისწინებს ხალხის ბუნებრივ მოთხოვნას, იცხოვროს ჭეშმარიტად სამართლიან და დემოკრატიულ სამოქალაქო საზოგადოებაში. დღევანდელ რეალობაში საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს ეჭვი ეპარება ხელისუფლების მოქმედებათა სისწორეში და ბრალს სდებს მას არჩევნების გაყალბებაში, სიცოცხლის, საკუთრებისა თუ სხვა ძირითადად უფლებათა ხელყოფაში, ძალმომრეობასა და ქვეყანაში ტოტალური უსამართლობის დამკვიდრებაში, უცხოეთის დახმარების — მილიარდობით დოლარის არამიზნობრივ გამოყენებაში, სახელმწიფო საკუთრების გასხვისებაში, ქართული ტერიტორიების — აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დე ფაქტო დაკარგვაში და სხვა.

ბუნებრივია, რომ დემოკრატიის პირობებში, ხალხს — ხელისუფლების წყაროს, აქვს უფლება, მიიღოს პასუხი დაგროვილ კითხვებზე და გამოარკვიოს, ნამდვილად სცოდავს თუ არა ხელისუფლება ხალხის წინაშე. სწორედ ამ მიზანს, — ჭეშმარიტების დადგენას ემსახურება „სახალხო (ხალხისძ სასამართლოს“ შექმნის იდეა, რომელიც არა მარტო საქართველოს მოსახლეობისგან გრძნობს უდიდეს მხარდაჭერას, არამედ ჩვენი მეგობარი დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენელთა მხრიდანაც. უაღრესად საგულისხმოა ქვეყანაში დემოკრატიული პროცესების გააქტიურებისა და ხელისუფლების მოქმედებათა სახალხოობისადმი აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის სრული მხარდაჭერაც.

**„სახალხო (ხალხის) სასამართლოს“** ჩამოყალიბების პროცესი საკმაოდ რთულია და საზოგადოების აქტიურ ჩართულობას მოითხოვს, ამისთვის ყალიბდება „საზოგადოებრივი საბჭო“, რომელშიც მონაწილეობის სურვილი და ინტერესი თითქმის ყველა პოლიტიკურმა პარტიამ თუ არასამთავრობო ორგანიზაციამ გამოხატა.

**„საზოგადოებრივი საბჭო“ სახალხო (ხალხის) სასამართლოს“** აპოლიტიკური საკონსულტაციო და სარეკომენდაციო ორგანო იქნება. მის ფუნქციაში შევა: ხელისუფლების გასამართლების პროცესში ხალხის უშუალო ჩართულობის უზრუნველყოფა; სასამართლოს მუშაობასთან დაკავშირებით საზოგადოების, ხალხის მოსაზრებათა და მოთხოვნათა გათვალისწინება; „სახალხო (ხალხისძ სასამართლოს“ მუშაობასა და ფუნქციებში ნებისმიერ ზეწოლაზე სათანადო რეაგირება; „სახალხო (ხალხისძ სასამართლოს“ მუშაობაზე გულდასმით დაკვირვება და აუცილებელ სტრუქტურულ თუ ფუნქციურ ცვლილებათა შემოთავაზება; განსახილველ საქმეთა რიგითობასთან, მათი განხილვის პროცესუალურ ვადებთან და საქმის წარმართვასთან დაკავშირებული სხვა რეკომენდაციების ჩამოყალიბება; პროცესის გაშუქებასა და PR კამპანიასთან დაკავშირებული საქმიანობის კოორდინირება (ევალება საბჭოს მდივანსძ და ა. შ.

ბატონო ზურაბ

**„სახალხო (ხალხის) სასამართლოს“** სახელით მოგმართავთ როგორც პოლიტიკური პარტიის ერთ-ერთ ხელმძღვანელს და გთავაზობთ, მონაწილეობა მიიღოთ **„საზოგადოებრივი საბჭოს“** მუშაობაში, რაც დასტურყოფს ნაციონალური მოძრაობის მრწამსის, იდეათა და მისწრაფებათა დემოკრატიულობას.

საბჭო შეიკრიბება კვირაში ერთხელ, ზემოაღნიშნულ მისამართზე მდებარე ოფისში და განიხილავს სასამართლოს მომზადებასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და სამართლებრივ საკითხებს. სასამართლო პროცესის დაწყება ტელეკომპანია „მაესტროს“ პირდაპირი ეთერის საშუალებით სავარაუდოდ დაგეგმილია 2010 წლის თებერვლიდან.

**პატივისცემით**

**„სახალხო (ხალხის) სასამართლოს“ საზოგადოებრივი საბჭოს სახელით,**

**შიო არსენაშვილი**

ბრიფინგი



# „ოსებსა და ქართველებს ისევ ისე გვიყვარს ერთმანეთი“

**„თეთრების“ ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა 15 დეკემბერს გამართულ ბრიფინგზე ისაუბრა ვლადიკავკაზში ვიზიტის შედეგებზე და განაცხადა, რომ ოსებმა არაჩვეულებრივი შეხვედრა მოუწყვეს — ოსებსა და ქართველებს ისევ ისე გვიყვარს და ისევ ისე გვჭირდება ერთმანეთით.**

შაშიაშვილის თქმით, ვლადიკავკაზში ოფიციალურ პირებს არ შეხვედრია. „სადაც მივდივარ, ოფიციალურ პირებს არასდროს ვხვდები, მე ხალხის წარმომადგენელი ვარ, ვხვდები მხოლოდ მათ და ერთ კვირაში ისევ ვაპირებ ვლადიკავკაზში გამგზავრებას“, — დასძინა თემურ შაშიაშვილმა.

**მერი ქურასბედიანი**

ინფორმაცია

# სომხეთისკენ გაზის ტრანზიტი აღდგა

**საქართველოს გავლით სომხეთისათვის, 13 დეკემბერს შეწყვეტილი გაზის მიწოდება, აღდგენილია.**

**გაზის მიწოდება ჩრდილოეთ-სამხრეთის მაგისტრალურ გაზსადენის ინგუშეთში, მოზდოკი-თბილისის მონაკვეთზე აღმოჩენილი ასაფეთქებელი ნივთიერების გამო, რუსული მხარის მოთხოვნით შეწყდა.**



**ნავთობისა და გაზის კორპორაციის წარმომადგენელთა განცხადებით, მომხდარის მიუხედავად, საქართველოს გაზმომარაგების სტაბილურობას საფრთხე არ შექმნია, რადგანაც საქართველო გაზს აზერბაიჯანიდან იღებს.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 254. ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 2009 წელი.

## აქტუალური ინტერვიუ

**ინტერვიუ აშშ-ში საქართველოს ელჩთან ბათუ ქუთელიასთან**

# „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვით საფრანგეთი „ევროკავშირის ქცევის კოდექსს“ არღვევს...

**— ბატონო ბათუ, მომავალი წლის იანვარში აშშ-საქართველოს ქარტიას სტრატეგიული თანამშრომლობის შესახებ ერთი წელი უსრულდება. როგორ შეაფასებდით განვლილ ერთ წელიწადს?**

— ქარტიის ტექსტი საკმაოდ ეფექტიანი მექანიზმი აღმოჩნდა ქარტიის ძირითადი პირობების კონკრეტული მიმართულებებით განვითარებისთვის. შეიქმნა 4 სამუშაო ჯგუფი იმ 4 ძირითადი მიმართულებისდა მიხედვით, რომელიც პარტნიორობის ქარტიაშია ასახული: ეს არის თავდაცვის, უსაფრთხოების, ეკონომიკური საკითხებისა და დემოკრატიასა და ხალხთა შორის ურთიერთობაზე ორიენტირებული სამუშაო ჯგუფები. უკვე ჩატარდა ძირითადი სამუშაო ჯგუფების რამდენიმე შეხვედრა, ხოლო ქარტიის გაფორმების წლისთავზე გაერთიანებული შეხვედრა შედგება, სადაც ერთი წლის მუშაობის შედეგებს შევაჯამებთ. ყველა მიმართულებით დაისახება კონკრეტული პროექტები, გეგმები და პროგრამები. მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ ქარტია აშშ-ის წინა ადმინისტრაციის პირობებში გაფორმდა, ხოლო მისი უშუალო განხორციელება ახალმა ადმინისტრციამ აიტაცა და მასში კონკრეტული მექანიზმებიც ჩადო. საინტერესოა ასევე, რომ აშშ-მა ამგვარი ქარტიის მექანიზმი გამოიყენა სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში, ანუ იმათთან, ვისთანაც აშშ-ს სტრატეგიული ინტერესი აქვს. აქ მხოლოდ უკრაინას არ ვგულისხმობ. მოხდა ანალოგიური სამუშაო ჯგუფების შექმნა სწორედ იმ მიმართულებით, რომელიც ჩვენს ქარტიაშია დაფიქსირებული.

**— მაგრამ არსებობს ეჭვებიც, რომ აშშ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვას არ აპირებს...**

— მაშინ სხვა რაა „წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა“? რაც შეეხება თავდაცვისა და უსაფრთოების საკითხს: ეს არის კომპლექსური თემა, რომელიც იმ ძველ ასპექტებსა და ელემენტებს ითვალისწინებს, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს. ეს არის ძირითადი საკითხი, განსაკუთრებით რუსეთ -საქართველოს ომის შემდეგ, და აშშ ამ პროცესში უშუალოდაა ჩართული. საქართველოს უსაფრთხოების გარანტიები არის ერთ-ერთი მთავარი საკითხი და ამ საკითხთან დაკავშირებით ამერიკის პოლიტიკის მაღალი რანგის ლიდერები ხვდებიან როგორც თავიანთ პარტნიორებს ევროპასა და ნატოში, ასევე რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელ პოლიტიკოსებსაც. ყველგან ფიქსირდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, უზრუნველყოფისა და გარანტირების აუცილებლობა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია კონკრეტული შედეგი, ვგულისხმობ, ავღანეთის ოპერაციაში ამერიკა-საქართველოს თანამშრომლობას. რაც შეეხება ქვეყნის თავდაცვითუნარიანობას: ჩატარდა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა და ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა იმ კონკრეტულ გეგმაზე, თუ როგორ უნდა მოხდეს საქართველოს მიერ თავისი ძირითადი უფლების – თავდაცვის უფლების უზრუნველყოფა, რომელიც გაეროს ქარტიის 51-ე მუხლითაა გარანტირებული. როგორ უნდა მოხდეს მისი პრაქტიკულად განხორციელება, როგორი იქნება ეს ყოვლისმომცველი გეგმა და რა ეტაპები უნდა გავიაროთ იმისთვის, რომ საქართველომ თავად შესძლოს თავისი ტერიტორიის დაცვა და სუვერენიტეტის უზრუნველყოფა. ამ მხრივ კონკრეტული მონახაზები ითვალისწინებს როგორც შეიარაღებული ძალების წვრთნისა და განახლების პროგრამას, სწორ მართვას, ამავე დროს თავდაცვის, უსაფრთხოების მთლიანი, ინტეგრირებული სისტემის შექმნას, გამომდინარე იმ რეალური საფრთხეებიდან, რომელიც საქართველოს აქვს. უპირველესად ეს არის ტერიტორიული თავდაცვის პრინციპის განხორციელება და ეს, ბუნებრივია, მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნისთვის. იგი უნდა იყოს თავსებადი ნატოსთან, როგორც სისტემურად და სამართლებრივად, ასევე მისი უშუალო შესაძლებლობით: მისი აღჭურვითა და თავდაცვის უნარებით. ქართული შეიარაღება შესაბამისობაში უნდა იყოს დასავლურ სტანდარტებთან: ეს არის პრიორიტეტები და ამის მიღწევას დასჭირდება ნაბიჯ-ნაბიჯ სიარული. სერიოზული წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოები კი უკვე დასრულდა.

რაც შეეხება ამერიკის მიერ საქართველოსთვის იარაღის მიყიდვას: საკითხი ასე ცალსახად დასმული არაა. საქართველოს, როგორც სუვერენულ ქვეყანას, შეიარაღებული ძალების ყოლისა და ქვეყნის თავდაცვის სრული უფლება აქვს. ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა განცხადება იმის თაობაზე გააკეთა, თუ როგორი ტიპის შეიარაღებული ძალები უნდა ჰქონდეს საქართველოს. მან აღნიშნა, რომ საქართველო ისწრაფვის ნატოს წევრობისკენ და საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატოს სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ნატოსთან თავსებადი სისტემებით და არა საბჭოთა და პოსტსაბჭოთა მოძველებული ტექნოლოგიებით უნდა იყვნენ აღჭურვილი.

**— ფრანგული სამხედრო გემის „მისტრალის“ და კიდევ მისი რამდენიმე ანალოგის რუსეთისთვის მიყიდვა-გადაცემის შესახებ საქართველოს მხარეს ოფიციალური საპროტესტო ნოტა ჯერ არ გაუგზავნია. რატომ? როგორია აშშ-ის, როგორც ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის პოზიცია ამ ჩვენთვის სახიფათო სავაჭრო გარიგებასთან დაკავშირებით?**

— ნატოს წევრ ქვეყნებს შორის საკმაოდ აქტიური განხილვა მიდის იმის თაობაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილია „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვა. ჩემი ვარაუდით საფრანგეთს თავისი პარტნიორებისთვის დეტალური ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს, თუ რა პრინციპების საფუძველზე მოხდება მიყიდვა. გემების რაოდენობას იმდენად არა აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც თავად პრინციპს: როცა საფრანგეთი ცეცხლის შეწყვეტის მედიატორი ქვეყანაა და იგი ამავე დროს



კონფლიქტის ერთ- ერთ მხარეს ასეთ გემს აძლევს, რამდენად შეესაბამება ეს ევროკავშირის ქცევის კოდექსს იარაღის ვაჭრობასთან დაკავშირებით? ეს კოდექსი სახელწოდებით — „ევროკავშირის ქცევის კოდექსი“ — არის დოკუმენტი, რომელიც ევროკავშირმა რამდენიმე წლის წინათ შეიმუშავა. იგი პირდაპირ უკრძალავს ევროკავშირის წევრ ქვეყნებს კონფლიქტის მხარისთვის იარაღის მიყიდვას. ამ კოდექსს კანონის ძალა არ აქვს და აღსრულებისთვის სავალდებულო არაა, მაგრამ იგი პოლიტიკურად მნიშვნელოვანი დოკუმენტია და ევროკავშირის ყველა წევრმა ქვეყანამ ეს პრინციპები მკაცრად უნდა დაიცვას. სწორედ ეს პრინციპი უკრძალავს ევროკავშირს, მიჰყიდოს იარაღი ისეთ ქვეყანას, რომელსაც ტერიტორიული პრეტენზიები სხვა ქვეყნების მიმართ აქვს, ანდა სამხედრო ოპერაციებშია ჩართული, ანდა თავის მეზობელ თუ სხვა ქვეყნების მიმართ აგრესიულ ქმედებებს ახორციელებს. იარაღითა და ტექნოლოგიებით ვაჭრობა სწორედ ასეთ ქვეყანასთან არ უნდა წარმოებდეს. ეს თემა სერიოზული განხილვის საგანი იქნება. ჩვენ ასეთი მიყიდვის წინააღმდეგი ვართ.

რაც შეეხება ჩვენს საპროტესტო ნოტას: ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ, ოფიციალური განაცხადის მიღება ჯერ გადაწყვეტილი არ არის და ამ ამბავთან დაკავშირებით წინასწარ დემარშებს ვერ გავაკეთებთ. ეს არის საკითხი, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრი განიხილავს, მათ შორის საფრანგეთშიც და, ბუნებრივია, სხვა პარტნიორებთან, მათ შორის ჩვენს სტარტეგიულ პარტნიორთან — აშშ-სთან. ამ შემთხვევაში მეტი სივრცე რჩება დიპლომატიური მანევრებისთვის. მიმდინარეობს კონსულტაციები, მოლაპარაკებები და ვიმედოვნებთ, რომ გადაწყვეტილება მიღებული იქნება იმ პრინციპების შესაბამისად, რომელიც ცივილიზებულ მსოფლიოში არსებობს.

**— ვთქვათ, საფრანგეთმა პარტნიორებს კარგად დაუსაბუთა „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვის მიზეზი. მერე რა მოხდება?**

— რასაკვირველია, საფრანგეთ-რუსეთის ურთიერთობა ამ ორი ქვეყნის საქმეა და მასში პირდაპირი ჩარევის უფლება არავის აქვს, მაგრამ ჩვენ ჩვენი შეშფოთების დაფიქსირების უფლება გვაქვს.

იხ. 7 გვ.

## შიდა პოლიტიკა

*შიდა პოლიტიკაში, ცოტა არ იყოს, უინტერესო ხანა დადგა. პოლიტიკური პარტიები გაპასიურდნენ. თვეები თვალსა და ხელს შუა გაივლის და ადგილობრივი არჩევნებიც კარს მოგვადგება. თუმცა ასეთი პასიურობის ფონზე, მხარდამჭერების გულის მოგება შეიძლება ძნელიც აღმოჩნდეს. ეს ეხება ოპოზიციას, ვიდრე ხელისუფლებას, რადგან მისი პოლიტიკური მოღვაწეობა და ყოველდღიური ქმედება ისედაც პიარზეა გათვლილი. მაგალითად, გიგი უგულავამ ამჯერად არჩეული მერის სტატუსისთვის ბრძოლა დიდი ხანია დაიწყო.*

# თბილისის „ძიძობა“ უნდათ, მაგრამ ჯერ მხოლოდ ფრჩხილებზე ლაქის წასმა იციან

**როგორი მერი უნდა ამომრჩეველს და რა შანსები აქვს ოპოზიციას?**

ოპოზიციურ ფრთას ადრინდელი დანაძადნები — ხელისუფლების დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობას არ მივიღებთო — დაავიწყდა. ეს ნავსი ალიანსმა გატეხა, როცა მეროზის კანდიდატად ალასანია დაასახელა. თუ ბატონი ირაკლი მაშინ მხოლოდ გამარჯვებაზე ფიქრობდა და დამარცხების ვარიანტს არც კი განიხილავდა, დღეს ამ შემართების ფონზე დაუძლურებულად გამოიყურება. მოსახლეობას რამდენჯერმე შეხვდა და დაპირებებიც მისცა, თუმცა ძალიან მწირი, რადგან თვითონაც ნაკლებად იცის, თუნდაც გამარჯვების შემთხვევაში, რა შანსებს მისცემს მას ხელისუფლება. ხომ შეიძლება არჩეულ მერს ბევრი „ბუნებრივი“ (ხელოვნურიძ ბარიერი შეუქმნას, არ მისცეს საკმარისი ბიუჯეტი და მხარდამჭერთა არმიაც გზადაგზა შეუკვეცონ. გამორიცხული არაფერია!

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ოპოზიცია ამ ბოლო დროს მხოლოდ ისეთ ნაბიჯებს დგამს, რომელიც თვითონაც კარგად იცის, რომ დამარცხებისთვის არის განწირული. ერთადერთი იმედისმომცემი და ხელჩასაჭიდი პრინციპული და განმსაზღვრელი საკითხი ამ შემთხვევაში 50-პროცენტიანი ბარიერი იყო, თუმცა ეს ბრძოლა ხელისუფლებასთან მარცხით დამთავრდა. ახლა მთელი ოპოზიციური სპექტრი დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას 30 პროცენტის გადალახვა არ გაუჭირდება, მაგრამ შეიძლება გაუჭირდეს ოპოზიციას, რომელსაც უკვე არა ერთი, არამედ რამდენიმე კანდიდატი ჰყავს. ვის რამდენი და როგორ რეიტინგი აქვს ამ ეტაპზე, საზოგადოებრივი კვლევის შედეგებს თვითონაც ნაკლებად ენდობიან.

პოლიტიკური პარტიები ტრამპლინად ადგილობრივ არჩევნებსა და, კერძოდ, თბილისის მერის ადგილის მოპოვებას მიიჩნევენ. რატომღაც ეს თანამდებობა ზედმეტად პოლიტიზებულად იქცა, მაგრამ არავინ ამბობს, უნდა თუ არა თბილისელს მერი, რომელსაც მხოლოდ პოლიტიკური ამბიციები აქვს, არა აქვს სამეურნეო სფეროში გამოცდილება, გაუჭირდება კარგი მენეჯეროზა. გამოდგებიან თუ არა ეს კანდიდატები თბილისის „ძიძებად“, მთავარი ესაა?

ოპოზიციის კანდიდატების რეიტინგის დაგდებაზე ხელისუფლება აქედანვე ფიქრობს და გულხელდაკრეფილი არ შეჰყურებს. სახელისუფლებო არხებზე კვირაში ერთხელ მაინც ჩნდება სამწუთიანი სიუჟეტები ოპოზიციურ კანდიდატთა წარსულის, ქონებრივი დეკლარაციის, ფინანსური მხარის თუ ადამიანური სისუსტეების შესახებ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ შავ პიარს ემსახურება. კომპრომატები, სადაც დეტალურად და თანამიმდევრულად იქნება ჩამოყალიბებული სახელისუფლებო კანდიდატის შეცდომები თუ გადაცდომები, ოპოზიციისგან არ მოგვისმენია. მხოლოდ „თეთრები“ ცდილობენ ჯერჯეროზით, ასეთი „კულტურის“ დამკვიდრებას, მაგრამ მათ ინიციატივას ოპოზიციური ლიდერები ენთუზიაზმით როდი ეკიდებიან.

მაისამდე საკმარისი დრო რჩება ხელისუფლებას, რომ წინასაარჩევნო კამპანია აწარმოოს და ელექტორატის გული მოალბოს. ოპოზიციას კი მხოლოდ თბილისის იმედი აქვს. ხელისუფლებას თბილისის იმედი ნაკლებად აქვს, სწორედ ამიტომაც აკეთებს მთელი ძალების მობილიზებას თბილისში. ბრძოლის რინგი ახლა მთელ საქართველოში თბილისია. ამიტომაც იკითხა ექსპერტთა ნაწილმა — რამდენად მართებული იყო ოპოზიციის ეს სტრატეგია. ის მხოლოდ თბილისზე ფიქრობს, მაშინ, როცა ხელისუფლებას დანარჩენი საქართველო ჯიბეში ჰყავს. რას ფიქრობს ოპოზიციური სპექტრი რეგიონებზე, სადაც ის თბილისისგან განსხვავებით, წინა არჩევნებზე გაწბილებული დარჩა? თუნდაც არჩეული მერის პოსტის მოგების შემთხვევაში, ადგილობრივი ხელისუფლება ხომ კვლავ ნაციონალების ხელში რჩება, რომელსაც საკმაოდ კარგად გამოიყენებენ საპარლამენტო რესურსის მოსაპოვებლად? მაგალითად, ექსპერტი რამაზ საყვარელიძე მიიჩნევს, რომ ოპოზიცია სწორედ რეგიონებში უნდა გაშლილიყო, წამოეყენებინათ კანდიდატები და ემუშავათ იქ ადგილების მოსაპოვებლად. ეს თემა ოპოზიციას არც განუხილავს, ამის ლობისტებად შეიძლება „ფორუმელები“ მოვნათლოთ, მაგრამ ისინი ამ ბოლო დროს საერთოდაც არ ჩანან, არც ცუდად, არც კარგად.

დანარჩენი ოპოზიცია და ძიძიგურ-დავითაშვილის ტანდემი პრაიმერის იდეას შეუპყრია და როგორც ადრე, ახლაც ამ იდეა-ფიქსზე გადაჭარბებულ იმედებს ამყარებენ. ჯერ შედგება თუ არა მრავალპარტიული ერთობა, ძნელი წარმოსადგენია და მეორეც, აქაც რომ ჩაერიოს „ფარულად“ ხელისუფლება და თავისი ხალხის აქტიურობით ყველაზე დაბალრეიტინგული კანდიდატი გაიყვანონ, რომელიც წინააღმდეგობას ვერ გაუწევს ხელისუფლების კადრს, ხომ შესაძლებელია? მით უფრო, რომ ხელისუფლების „სატელიტი“ ოპოზიცია ხმებს მაინც გაუყოფს „ჭეშმარიტ“ ოპოზიციონერს, ანუ პრაიმერის აკვიატებული იდეაც არ არის მაინცდამაინც იდეალური.

ამ გადასახედიდან, რა შანსი რჩება ოპოზიციას, ძნელი სათქმელია. ყველა სტრატეგია, რომელსაც ის ისახავს მიზნად, მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებაზეა გათვლილი, უკან დასახევ გზას იჭრიან. ეს შეიძლება ერთგვარი თავგანწირვა და გმირული პათოსიც კი იყოს, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ბრძოლის ველზე ასეთივე შეუვალეზი არიან. იქ პირველობის მოპოვების სურვილი ასეთ მიზნებს აზითურებს ხოლმე. ამიტომაც მარცხდებიან, თუმცა არც თუ ღირსეულად; ხელისუფლებაც ამის გამო არ გამოიყურება „გმირად“, რადგან არც ის იბრძოდა ღირსეულ მეტოქესთან ღირსეულად...

**ნია ფიფია**

გლობუსი

# ევროპის უსაფრთხოების პროექტი – დასაგმობი თუ შესასწავლი?



**მედვედევისეული პროექტი ევროპის უსაფრთხოების თაობაზე, ზოგიერთი დასავლელი პოლიტიკოსის სკეპტიკური განწყობის მიუხედავად, სერიოზული განხილვის საგანი ხდება. ევროპას უდავოდ სჭირდება უსაფრთხოების ახალი სისტემა იმ რეალობის გათვალისწინებით, რაც ხდება ამ კონტინენტზე ჰელსინკის დასკვნითი აქტიდან დღემდე.** 1975 წელს ჰელსინკში ხელმოწერილმა დოკუმენტმა უდიდესი წვლილი შეიტანა ევროპაში მშვიდობის განმტკიცების საქმეში. მან ხელი შეუწყო სოციალისტურ და კაპიტალისტურ ბანაკებს შორის საკამათო საკითხების გადაჭრას, მაგრამ გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებულმა მოვლენებმა — საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის, ჩეხოსლოვაკიის დაშლამ, ორი გერმანიის გაერთიანებამ თავისთავად მოითხოვა არა მარტო ძველი დოკუმენტის კორექტირება, არამედ მისი ფუნდამენტური შეცვლა. ევროპის დღევანდელი ვითარება, როგორც ცა და დედამიწა ისე განსხვავდება 1975 წლის ვითარებისგან. ისტორიას ჩაბარდა ორ სისტემას შორის თითქმის ერთსაუკუნოვანი იდეოლოგიური დაპირისპირება, აღარ არსებობს გდრ. აღარ არსებობს ნატოს საპირისპიროდ შექმნილი ვარშავის მოლაპარაკების ორგანიზაცია, მაგრამ დარჩა ნატო, თანამედროვე ვითარებისთვის ისეთივე ანაქრონიზმი, როგორც მისი პოლიტიკა აღმოსავლეთით გაფართოებასთან დაკავშირებით.

**ბუნებრივად იბადება კითხვა — რა საჭიროა ნატო, როდესაც იდეოლოგიური მტერი დამარცხებულია, როდესაც საბჭოთა კავშირი დაშლილია, მისი მემკვიდრე რუსეთი კი გიგანტური ნაბიჯებით მიიწევს კაპიტალიზმის მწვერვალებისკენ, როდესაც თავბრუდამხვევი ტემპია საბაზრო ეკონომიკის განვითარების სფეროში, როდესაც მსოფლიოს მილიარდერთა ოცეულში რუსთა რიცხვი თვალსაჩინოა, როდესაც ევროპელებში გაოცებას იწვევს რუსი ნუვორიშების მადა-საქციელი, როდესაც ევროპის პრესტიჟულ სასწავლებლებში რუს ნუვორიშთა შვილების ტევა არ არის, როდესაც ლონდონში მცხოვრები აბრამოვიჩი სამ სტუმარს 50.000-დოლარიანი სადილით უმასპინძლდება. იქნებ მაშინ იდეოლოგიური ომი მხოლოდ საბაბი იყო? მსოფლიო პირველობის ამბიცია იდეოლოგიურ ომზე ძლიერია და რომ არა ბირთვული იარაღი, ვინ იცის, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენი ომი გაჩაღდებოდა . ბირთვული იარაღი ის ჯადოსნური ჯოხია, რომლის აქნევა ასეთის მქონე სახელმწიფოებისათვის თვითგანადგურების ტოლფასია. განსაკუთრებით მომაკვდინებელია მათთვის, ვისაც ათასობით ბირთვული იარაღი აქვს დაგროვილი. მათ რიცხვში პირველები ამერიკა-რუსეთია. ნახევარ საუკუნეზე მეტია ბირთვულ ბეწვის ხიდზე დადის დასავლეთ-აღმოსავლეთი. პატარა ბიძგიც, თუნდაც 2008 წლის 7-8 აგვისტოს მსგავსი, საკმარისი იქნება მსოფლიოს დაპირისპირებისთვის.**

ჰელსინკის დასკვნით აქტს არა მარტო დადებითი, არამედ უარყოფითი მომენტებიც ჰქონდა. მან თავიდან ვერ აიშორა ომი, ომით მუქარა, ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებით გამოწვეული ახალი დაპირისპირება. შექმნილი არცთუ მარტივი ვითარებიდან თავის დასაღწევად, ისე, როგორც ჰელსინკის დასკვნითი აქტის მიღებისას, ინიციატივა კვლავ კრემლმა აიღო. ბევრს ალბათ არც ახსოვს, რომ 1966 წელს ბუქარესტში გამართულმა ვარშავის ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოების პოლიტიკურ-საკონსულტაციო კომიტეტის თათბირმა მიიღო დეკლარაცია ევროპაში მშვიდობისა და უსაფრთხოების თაობაზე და დასავლეთს საერთოევროპული თათბირის მოწვევისაკენ მოუწოდა. თითქმის 10 წელი დასჭირდა კრემლს დასავლელთა სკეპტიკური დამოკიდებულების შეცვლისათვის. 1972 წლის ნოემბერში ჰელსინკში დაიწყო პროექტის განხილვა ელჩების დონეზე. 1979 წელს კი იქვე ჩატარდა პირველი ეტაპი ევროპის, აშშ-ის და კანადის საგარეო საქმეთა მინისტრების მონაწილეობით. 1975 წელს გაიმართა დასკვნითი აქტის ხელმოწერის საზეიმო ცერემონია. ბევრმა ჰელსინკის ამაღლებული ვითარება ვენის 1814-15 წლების კონგრესს შეადარა. მაშინაც და 1975 წელსაც დოკუმენტს ხელს აწერდნენ სახელმწიფოს მეთაურები, მაგრამ ჰელსინკი მეტი იყო — აშშ-ით და კანადით. **ისე, როგორც 1975 წელს, დღესაც ინიციატივა კრემლიდან მოდის — 1975 წელს კომუნისტური, ხოლო 2009 წელს კაპიტალისტური კრემლიდან. ცხადია, მაშინაც და დღესაც კრემლს ჰქონდა (და აქვს) საკუთარი ინტერესები.**

**იმჟამად კრემლს დიდი სურვილი ჰქონდა ომის შემდგომი საზღვრების ევროპის და ჩრდილო ამერიკის მიერ კიდევ ერთხელ აღიარებისა. დღეს კრემლს აწუხებს ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების, პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნილი ცხელი წერტილების, ტერორიზმისა და ომების საკითხი. ძნელია იმის ვარაუდი, რამდენად მოიხიბლება დასავლეთი მედვედევის პროექტით, რამდენად შეძლებს საკუთარი ვიწრო ინტერესების საყოველთაო — ატლანტიკიდან ურალამდე ინტერესებით ჩანაცვლებას. ის, რომ ვერც ეუთო, ვერც ევროსაბჭო, ვერც ევროკავშირი და ვერც ნატო ვერ პასუხობს ახალი საუკუნის გამოწვევებს, უდავოა. მცდარია ზოგი ქართველი პოლიტოლოგის განცხადებაც — ევროპას უსაფრთხოების აპრობირებული მექანიზმები გააჩნია და ახალი არ სჭირდებაო. კრემლის წინადადება იმას მაინც იმსახურებს, რომ პასუხი პრეზიდენტმა გასცეს და არა მოკრძალებული ცოდნის პატრონმა საგარეო უწყების ხელმძღვანელის რიგითმა მოადგილე კალანდაძემ. ქართული პოლიტიკის მიერ მასხრად აგდებული რუსული პროექტი ქართული მხარის არასათანადო ცოდნაზე უფრო მეტყველებს. არადა ჯეროვანი გაცნობის შემდეგ დოკუმენტში „საჩვენოც“ ბევრი აღმოჩნდებოდა.**

კრემლის პროექტი თავისთავად გულისხმობს ისეთი პრობლემებიდან თავის დაღწევას, როგორებიცაა მოლდოვა-დნესტრისპირეთი, აზერბაიჯან-სომხეთი, საქართველო-აფხაზეთი, საქართველო-სამხრეთ ოსეთი. უსაფრთხოება გულისხმობს კასპიის ზღვის აკვატორიის სამართლიან გაყოფას, აზერბაიჯან-თურქმენეთის შორის ამ სფეროში არსებული დაპირისპირების დიალოგით გადაჭრას, ცენტრალური აზიის ქვეყნებში არსებული პრობლემების მოგვარებას, ტერორიზმთან ბრძოლას და სხვა.

განსაკუთრებული თავისებურებით კავკასია გამოირჩევა. ის, რომ რეგიონში ომის საფრთხე თვალშისაცემია, პრეზიდენტ ალიევის ნოემბრის განცხადებამაც დაადასტურა — თუ სომხეთთან მოლაპარაკება არაფერს მოიტანს, აზერბაიჯანი განაახლებს საომარ მოქმედებებს. ამ განცხადების მოსმენა ნაკლებად სასიამოვნო იყო, როგორც ეუთოსათვის, ისე მედიატორი ქვეყნებისთვის, ვინაიდან საომარი რიტორიკა თითქმის ორი წელია არ ისმოდა, რაც შეეხება ომს, დასავლეთი დარწმუნებულია, რომ იგი არ დაიწყება. აზერბაიჯანმა კარგად იცის: ორ ქვეყანას შორის არსებული ძალთა თანაფარდობა წარმატებას ვერ მოიტანს, გარდა ამისა, მცირედი წარმატება მხოლოდ დროებით იქნება. დასავლეთი მოახერხებს სტატუსკვოს აღდგენას. ალიევის განცხადება მიუნჰენის მოლაპარაკების წინ გაკეთდა და მას სომხეთზე წნეხის როლი უნდა შეესრულებინა, თუმცა ამაოდ. სარგსიანმა პასუხად თქვა, საომარი რიტორიკა თუ არ დავივიწყეთ, მოლაპარაკებების წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტი იქნებაო. ტერიტორიადაკარგული ქვეყნისათვის გაჭიანურებული მოლაპარაკებების პროცესი სცილდება მოთმინების საზღვრებს, მაგრამ რა გაეწყობა, სხვა გამოსავალი არ არის. მსოფლიომ ჯერაც ვერ დააღწია თავი ომებს და სხვისი ტერიტორიების ოკუპაციას, თუმცა დაკარგულის ომით დაბრუნება, ისე, როგორც ზოგი ქართველი პოლიტოლოგი მოუწოდებს ხელისუფლებას, კიდევ უფრო დიდი დამარცხების მომასწავებელია. კავკასიური ტემპერამენტი ვერ ჯდება ცივი გონების დიპლომატიაში, მაგრამ საერთაშორისო არენაზე ყოფნა მოითხოვს თავშეკავებას და ჭარბი ტემპერამენტის სხვა საქმეში დახარჯვას.

კავკასიის პრობლემები პერმანენტულ დიალოგს საჭიროებს. ამ მხრივ გაცილებით უკეთესი ვითარებაა აზერბაიჯან-სომხეთის მიმართულებით, სადაც მოლაპარაკება 17 წელზე მეტი გრძელდება. სავალალო სურათი იყო ჩვენთან. არც სოხუმთან და არც ცხინვალთან, თუ არ ჩავთვლით ევროპაში გამართულ ზედაპირულ შეხვედრებს, სერიოზული მოლაპარაკება არ ყოფილა. მხედველობაში მაქვს მთავრობათა მოლაპარაკება. საქართველოს ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა შეხვედრების (შლაინინგის პროცესიძ 2003 წელს შემუშავებული ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის პროექტი, არადა ერთობლივად შემუშავებული პროექტი იმჟამად უდავოდ საინტერესოდ მიიჩნეოდა ორივე მხარისთვის. სამწუხაროდ, ოფიციალურმა თბილისმა უგულებელყო პროექტი. თბილისს არასერიოზულად მიაჩნდა აფხაზთან და ოსთან მოლაპარაკება. ის მათ თავს არ უყადრებდა და კატეგორიულად თხოვდა მოსკოვს განდევნილთა დაბრუნებას მათი მოსაზრებების ან სურვილების გაუთვალისწინებლად. დასავლელი მედიატორები ორივე საკითხში მოითხოვდნენ მხარეთაგან ერთმანეთთან საერთო ენის გამოძებნას. თუ ყარაბაღთან დაკავშირებით მსგავსი მაინც იყო, საქართველოში მოწოდება იგნორირებული იყო. რაც აქ იყო, იყო ჰელსინკის უმთავრესი პრინციპების: კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების, ძალის გამოუყენებლობის და ძალის მუქარის სისტემატური დარღვევა. სამწუხაროდ, ვერც დასავლელი მედიატორები გამოდგნენ პრინციპულები, ისინი საეჭვოდ რბილად უდგებოდნენ დაუმორჩილებელ ქართულ პოლიტიკასა და ხელისუფლებას. მიზეზი ასეთი ქცევისა პრიმიტიული პოლიტიკით იყო ნაკარნახევი, რომლის დედააზრიც რუსეთის საწინააღმდეგო ვითარების აგორება იყო — ქართული ხელით. არადა, მედიატორთა არასათავისო პოლიტიკის არარსებობის შემთხვევაში ადგილი არ ექნებოდა გაეროს მე-6 თავის — საკამათო საკითხების მშვიდობიანი გზით გადაჭრა — საქართველოს მხრიდან სისტემატურ უგულებელყოფას, საომარ რიტორიკას და ომს.

**ჰელსინკის მიწოდება უტოპიად იქცა კავკასიის ხალხთა ინდიფერენტიზმითაც. საზოგადოებას ნაკლებად აწუხებს ეს პრობლემები, ის არ გამოდის ქუჩებში ანტისაომარი მოთხოვნებით, არ მოითხოვს ხელისუფლებიდან პროვოკაციების, საომარი მუქარის შეწყვეტას, პირიქით მხარს უჭერს და ახალისებს მას, მაგალითად — გამსახურდიას უზენაესი საბჭო მქუხარე ტაშით შეხვდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმებას, ხალხმა რუსთაველის პროსპექტზე დაუჩოქა შევარდნაძის ავადმყოფურ პოლიტიკას, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, მათ შორის ინტელიგენციის წარმომადგენლებმა 2008 წლის 12 აგვისტოს გამარჯვების სიმღერა და ხოტბა შეასხეს ომის წამომწყებ და ომში დამარცხებულ სააკაშვილს. ხალხი არც გაზრდილ სამხედრო ხარჯებს აპროტესტებს. მისთვის სულერთია რაში გამოიყენებს ხელისუფლება საბიუჯეტო თანხებს, ანუ მისთვის განკუთვნილ ფულს. ბრიყვი ოპოზიციის წყალობით, რომელიც მიესალმება გაუმართლებელ სამხედრო მშენებლობას, ხალხმა არ იცის, თუ რას ემსახურება კბილებამდე შეიარაღებული არმია, ხალხი ვერ აანალიზებს, რამ გამოიწვია ამერიკული იარაღით აღჭურვილი ქართული ჯარის უსწრაფესი დამარცხება ცხინვალის ომში. ხალხმა ისიც არ იცის, შეიძლება თუ არა ბირთვული იარაღის მქონე სუპერსახელმწიფოსთვის ომის გამოცხადება. ყოველივე აღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების სუსტ მუშაობაზეც მიუთითებს, ისე, როგორც მოწინააღმდეგეთა შორის თავდაუსხმელობის ხელშეკრულების გაფორმების დაუძლებლობა. ხელშეკრულება ნაწილობრივ მაინც გაანელებდა ხელისუფალთა გახურებულ თავებს.**

უსაფრთხოების ახალი სისტემა იძულების მექანიზმებსაც უნდა ფლობდეს, ისეთს, როგორებიცაა დაბეჯითებული, სისტემატური ჩიჩინი, კონფლიქტში მონაწილეთა დარწმუნება, სანქციების გამოყენება და სხვა.

გულუბრყვილობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მედვედევის პროექტი უმალ მიაღწევს საწადელს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დასავლეთის გავლენიანი წრეების მიხედვით ნატო არის ევროპის უსაფრთხოების გარანტი. გარდა ამისა, მას ეჭვი აქვს იმისა, რომ ახალი სისტემით რუსეთი შეეცდება ნატოს გაუქმებას. ჰელსინკის დოკუმენტის ისტორიიდან გამომდინარე, ახალი დოკუმენტის მიღების პროცესი ხანმოკლე არ იქნება. შრომატევადი იქნება მასზე მუშაობაც, მაგრამ სურვილის შემთხვევაში თანხმობაც მიიღწევა.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

წკეპლიკა

# როგორ გავხდეთ წამყვანი ქვეყანა

**როგორ და, საკმარისია ტელეეკრანიდან თქმა, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსი“ (მეინგლისურები ალბათ „ნიუ-იორქ თაიმსს“ ამჯობინებენ...) 28 წამყვან ქვეყანაში გამოდის და 28-ე ვართ ჩვენ, საქართველო!**

ითქვა კიდევაც ერთი ცნობილი სამთავრობო ტელეარხის ეკრანიდან, დილის გადაცემაში „პრესის მიმოხილვა“, ერთი ცნობილი სამთავრობო გაზეთის გამომცემელ-მეპატრონის ენა-პირით. მართალია, ისიც ითქვა, რომ ყველგან „ან ინგლისურად, ან ამ ქვეყანაზე ნათარგმნი გამოდისო“, მაგრამ ეს ენობრივ ლაფსუსად ჩავუთვალოთ...

ლუკა გორგაძე

ინფორმაცია

## დააკავეს ზუგდიდელი თაღლითები

**სამეგრელო-ზემო სვანეთის საოლქო პროკურატურის თანამშრომლებმა დააკავეს შპს „სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის დაცვისა და რეგულირების სამსახურის“ ზუგდიდის სამმართველოს უფროსი თენგიზ ფონია და მთავარი სპეციალისტი გიორგი სხულუხია.**

**ფონია და სხულუხია ზუგდიდის აგრარულ ბაზარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოვაჭრეებს თავს აცნობდნენ ხარისხის ინსპექციის წარმომადგენლებად და მათ ატყუებდნენ, თითქოსდა ამოწმებდნენ გასაყიდ პროდუქციას რადიაციაზე და ნიტრატების შემცველობაზე, სანაცვლოდ კი ითხოვდნენ ფულად თანხას. წინააღმდეგ შემთხვევაში აფრთხილებდნენ, რომ შეექმნებოდათ პრობლემები. აღნიშნული გზით თენგიზ ფონია და გიორგი სხულუხია თაღლითურად დაეუფლნენ 18 748 ლარს.**

**ჩადენილი დანაშაულისთვის მათ წარედგინათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც ითვალისწინებს 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.**

## სპეციალური კანონი წამლების ფასების შესახებ

**ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი გუგავას თქმით, ქარულ ფარმაცევტულ ბაზარზე წამლის ფასები ძალიან მაღალია.**

**გუგავას თქმით, მოსახლეობას არ აქვს საშუალება შეიძინოს ფართო მოხმარების წამლები, რომლებიც მათი სიცოცხლისთვის აუცილებელია.**




**— მოვითხოვთ შემუშავდეს სპეციალური კანონი და ფართო მოხმარების წამლებზე დაწესდეს დაბალი ზღვრული ფასები, აღნიშული კანონის მიღების შემთხვევაში ფარმაცევტულ კომპანიებს აღარ ექნებათ უფლება აღნიშნულ წამლებზე ფასები აწიონ, — განაცხადა გუგავამ.**

ჯი-ეიჩ-ენი

№ 254. ხუთშაბათი, 17 დეკემბერი, 2009 წელი.

## ◉ ბავშვი — ნაგან წყალს?!

***რომ არა ჩემი უფროსი მეგობარი, ცნობილი პოლიტოლოგი, ამ თითქმის სამი წლის წინანდელ ამბავს, რომელიც გერმანულ გაზეთში დაიბეჭდა, ყურადღებას არც მივაქცევდი და არც სააშკარაოზე გამოვიტანდი, რამეთუ ანგალი და უნამუსო ადამიანის ნაბოდვრად მივიჩნიე. მეგობარი კი რედაქციაში გვეწვია და გაზეთ „საქართველო XXI“-ის ამა წლის 10-16 დეკემბრის ნომერში დაბეჭდილ წერილზე გვესაუბრა, რომლის სათაურია: „მოლხენა კორუმპირებულ ქართველებთან — გერმანელების ვიზიტი „ლეიბორისტებთან“ 60 ლიტრი ღვინის თანხლებით“. მან დაწვრილებით მოგვითხრო, თუ რას ეხებოდა წერილის შინაარსი. სწორედ ამან დამაინტერესა და გაზეთის ეს ნომერი სასწრაფოდ შევიძინე. წერილი პირველ გვერდზე იწყება, სადაც ბატონ სოსო შატბერაშვილის ფოტოცაა დაბეჭდილი მინერალური წყლის ბოთლით ხელში, გრძელდება მეხუთე გვერდზე, აქაც ბატონი სოსო ღვინით სავსე ჭიქით და ა. შ. მოკლედ ბოლომდე ჩავიკითხე. ბევრი ვიცინე და ბოლოს სევდაც მომერია — ნუთუ ტყუილ-მართალი ვერ უნდა გაარკვიოს კაცმა და ჩვენს ქვეყანაში მსტოვრად შემოსულ ოციოდე ავანტიურისტ ვიგინდარათა, ვინმე სატირისტ მარტინ ზონდებორნის ხელმძღვანელობით, ნაბოდვარს გაზეთის ორი გვერდი უნდა დაუთმო? ამ პასკვილში მათ მიერ გაცურებული ლეიბორისტების ლანძღვა კი არა ჩანს, არამედ შეფარულად უფრო ქართული ტრადიციებისა და სტუმარ-მასპინძლობისა.***

# გერმანელი ჯანდაბას, მაგრამ შენ რა გახარებს, ქართველო?!

## რამ გაახსენა გაზეთ „საქართველო XXI“-ს სამი წლის წინანდელი „ვირო მადლის“ ისტორია?




ამგვარი დაუნახაობა ჩვენი ტრადიციებისა არახალია. მაგრამ გულუბრყვილო ქართველები ჭკუას მაინც ვერ ვსწავლობთ. ასე მოუვიდათ ჩვენს „ლეიბორისტებსაც“. საქართველოში ჩამოსული აფერისტები თავიანთი პარტიის წევრის, დანიელ ვიჰარცის (რომელიც თბილისში გაცვლითი სამსახურის სააგენტოთია დაკავებულიძ მეშვეობით ბატონ შალვა ნათელაშვილს დაუკავშირდნენ, თავი შრომის პარტიის მემარცხენე ფრთის წარმომადგენლებად გაასაღეს და ლეიბორისტთა ოფისსაც ეწვივნენ.

საუბარი მართლაც საქმიანი იყო — მათი მხრივ ავანტიურისტული, ჩვენი მხრივ კი — ალალი.

შეხვედრაზე, როგორც შემდგომ გერმანელებმა თავიანთ გაზეთში დაბეჭდეს და ჩვენმა ქართველმა კოლეგებმა, თითქმის სამი წლის შემდეგ თარგმნეს და გაახმაურეს, ავანტიურისტები იაფფასიანი კოსტიუმებით გამოცხადებულან, რადგან თურმე ეშინოდათ, საქართვლეოში ქარცვაყაჩაღობაა და შიშველ-ტიტველს თუ დაგვტოვებენ, გული არ დაგვწყდებაო.

როგორც ქართული წესი და ადათია, მოშივებული სტუმრები საღამო ხანს რესტორანში ასადილეს. დაემშვიდობნენ და გზაც დაულოცეს. ამის შემდეგ დაუნახავი, ვითომდა მემარცხენე შრომის პარტიელები, სამშობლოში ჩასვლისთანავე, საშინელ პასკვილებს ბეჭდავენ. იგონებენ, თუ როგორ ზღვარგადასული ღრეობა ვიცით ქართველებმა, როგორ შეისვა ჰიტლერისა და სტალინის სადღეგრძელო, როგორ პირობებში მოუხდათ საქართველოში მოგზაურობა, წერენ რომ საქართველოში მარტო „შვილები“ და „ძეები“ არიან, მაგალითად ნათელაშვილი და ჯუღაშვილი, შევარდნაძე. გაზეთის პირველ გვერდზე ბატონ სოსო შატბერაშვილის სურათს ასეთი წარწერაც აქვს — ლეიბორისტთა ერთ-ერთი ლიდერი რეკლამას უკეთებს მინერალურ წყალს. თურმე დანიელ ვიჰარცმა (კიდევ კარგი, არა ქართველმა ლეიბორისტებმაძ დელეგაციის წევრები იმაშიც გაათვითცნობიერა, რომ რამდენიმე ევროდ შეუძლიათ რუსი კახპების დაქირავება, რომ მდიდრულ რესტორან „ბაბილონში“ სპეციალურად მათთვის 60 ლიტრი ღვინოა ჩამოტანილი და დიდებული ქეიფი ელით. მოკლედ არ გავაგრძელებ ამ ნაბოდვარს და არც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან დავიწყებ სიბინძურის რეკლამირებას, რაც გაზეთ „საქართველო XXI“-ში წავიკითხე.

მოკლედ ყველაფრის გასარკვევად, სანამ ბოლმას ამოვანთხევდი, როგორც ჟურნალისტიკის ეთიკა, კანონი და პრინციპები, ხოლო თანამოკალმეებთან კოლეგიალობა მოითხოვს, ქართველ ლეიბორისტთა ოფისს ვეწვიე და ბატონ სოსო შატბერაშვილს გავესაუბრე (ისე, საშუალება და შესაძლებლობა რომ მქონოდა, ავანტიურისტ გერმანელებსაც მოვინახულებდი მათსავე სამშობლოში და საქმის არსს გავარკვევდი).

ბატონმა სოსომ დამშვიდებული სახით მითხრა — ამ თემაზე კომენტარს არ ვაკეთებ, რადგან ყველაფერი ავადმყოფური ჭკუის ნაყოფიაო, მაგრამ ის მაინტერესებს, რაღა ახლა თარგმნეს და გამოსცეს, თითქმის სამი წლის წინანდელი უცხოურ გაზეთში დაბეჭდილი სისულელე, რომელიც კარგა ხნის დავიწყებული მეგონაო.

**— სწორედ ამიტომაც გეახელით, ბატონო სოსო. ამგვარი დაუნახაობა კავკასიური და, მით უმეტეს, ქართული ტრადიციებისა, რომელსაც, უკაცრავად ვარ თქვენთან და, „ვირო მადლს“ ვეძახით, ხშირად დაუწერიათ, მაგრამ სამი წლის შემდეგ?**

— თავიდანვე გითხარით, რომ კომენტარს არ ვუკეთებ ყოველგვარ სისულელეს, მაგრამ მაინც მოკლედ მოგიყვებით და საქმის კურსში ჩაგაყენებთ. გოეთეს სახლის შეტყობინებით გავიგეთ, რომ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა გერმანელთა დელეგაცია, რომლებიც მუშათა პარტიის მემარცხენე ფრთას წარმოადგენენ და საქართველოში ჩვენი ქვეყნის გაცნობის, მეგობარ პარტნიორებთან შეხვედრისა და ურთიერთთანამშრომლობისთვის იყვნენ ჩამოსულნი. ოც თუ ოცდახუთკაციან დელეგაციას ჩვენთან შეხვედრამდე უკვე მოესწრო ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობების გაცნობა. ისინი ყოფილან კახეთში, ქართლში, მოუთხოვიათ იოსებ სტალინის სახლ-მუზეუმის დათვალიერება და ბოლოს ქართველ ლეიბორისტებთან შეხვედრაც განუზრახავთ. ჩვენც, შესაბამისად, უარი არ ვუთხარით უცხოელ ე. წ. თანაპარტიელებს და ჩვენსავე ოფისში მივიწვიეთ. საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა, ყოველგვარ პრობლემებზე საუბარი რამდენიმე საათს გაგრძელდა. სხვათა შორის ჩვენ ხშირად გვყავს სტუმრები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ჩვენც ხშირად ვსტუმრობთ მათ შეძლებისდაგვარად. საღამო ხანს, ტრადიციულად, სტუმრები ვახშამზე დავპატიჟეთ. არ დაგიმალავთ და თამადა მე ვიყავი. რაც შეეხება სტალინისა და ჰიტლერის სადღეგრძელოს (ელიმებაძ, როგორც მათ დაწერეს, არავითარი კავშირი არა აქვს ჩემს მიერ წარმოთქმულ სადღეგრძელოსთან. მე, სუფრის გაშლამდე ისედაც ლუდით შეზარხოშებულ სტუმრებს ასეთი სადღეგრძელო შევთავაზე, „ჩვენი სტალინი და თქვენი, გერმანელი ჰიტლერი მეორე მსოფლიო ომის დროს ერთმანეთს ებრძოდნენ. ჩვენს ერებს შორის მტრობა იყო, დაე, ჩვენი ურთიერთობა ისე გაგრძელებულიყოს, რომ მსოფლიოში სამაგალითო ყოფილიყოს-მეთქი“. ისინი ოვაციებით შეეგებნენ ამ სადღეგრძელოს, ხოლო რაც შეეხება პირადად ისტორიულ პიროვნებებს, მე გამორჩეულად ვადღეგრძელე დავით აღმაშენებელი და ბისმარკი, რომლებმაც შეძლეს ამ ორი ერის გაერთიანება-გაძლიერება.

**— ბატონო სოსო, „მინერალური წყლის რეკლამაზე“ რაღას იტყოდით?**

— ეგ აღარც მახსოვს, „ბორჯომი“ იყო, თუ „ნაბეღლავი“ (კვლავ ელიმებაძ. გადამთვრალი სტუმრები, რომლებიც იმას წერენ, თითქოს 60 ლიტრი ღვინო ვის ეყოფოდაო (თან გაზეთში სწორედ იმ ადგილს მიმითითებსძ, ისე გაილეშნენ, რომ სკამიდან გადავარდნენ. სწორედ მაშინ ავიღე მინერალური წყლის ბოთლი და ავუხსენი, ვისაც ღვინის სმა არ შეუძლია, მან მინერალური წყალი უნდა დალიოს-მეთქი და ალბათ ეს ფოტოც მაშინ გადაიღეს.

**— ბატონო სოსო, როგორც ყველა ქართველს, თქვენც უცხოელთა ამ დაუნახაობაზე გული დაგწყდებოდათ.**

— ეს წერილი, უფრო სწორედ მათი ნაბოდვარი, მაშინვე წავიკითხე, თუ არ ვცდები, 2007 წლის თებერვალი იყო, გერმანულ გაზეთში. რა თქმა უნდა, გული დამწყდა. ეს ხომ ჩვენი ბრალია, მაგრამ ისე „გამოსწორებას“ არ ვაპირებთ. ჩვენ იმ ერის შვილები ვართ, რომელსაც სტუმარ-მასპინძლობის უდიდესი ტრადიცია აქვს. ხანდახან დავფიქრებულვარ, იქნებ სხვაგვარად სჯობს, მაგრამ ჩვენთან მყოფი უამრავი სტუმრიდან ამგვარი დაუნახაობა ჯერ არ მინახავს.

**— რა საჭირო იყო ამ პასკვილის ამდენი ხნის შემდეგ ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება?**

— აქ ჩვენზე კარგიც წერია და ცუდიც ( ბატონმა სოსომ რამდენიმე გაზეთის ამონაჭრები გამომიწოდა). ცუდი უმეტესად გაზეთ „საქართველო XXI“-ში. სწორედ ოქტომბერ-ნოემბრის ნომერშია დაბეჭდილი მოწინავე სტატია სათაურით **„ასე არ გამოგივათ, ბატონო შალვა!“** ეს სტატიაც პირველ გვერდზე იწყება და შემდეგი მთელი გვერდი აქვს დაკავებული. სხვათა შორის აქაც ჩემი ფოტო და ჩემი ავტომანქანის ფოტოა დაბეჭდილი. გვედავებიან, საიდან შევიძინეთ მე ავტომანქანა „ტოიოტა“ და ბატონმა შალვამ ძვირადღირებული „ვერცხლისფერი ნაძვები“. ჩვენი პასუხი და შემდეგ მათ მიერ გადამოწმებული ფაქტები არც დაუბეჭდავთ. არადა, ამ გაზეთის რედაქტორი, ბატონი შალვასა და „ლეიბორისტების“ დაუძინებელი მტერი ქალბატონი ნათელა ვერძეულია. ეს პასკვილიც სამი წლის შემდეგ ალბათ ამიტომაც დაიბეჭდა.

***ჩაფიქრებული** ვბრუნდები ლეიბორისტთა ოფისიდან. არც ერთი პარტიის წევრი არა ვარ და, ვგონებ, არც ვიქნები. ყველა პოლიტიკოსს ვცემ პატივს, ვინც საქართველოსთვის კარგსა და სასიკეთოს გააკეთებს, ყველასთვის დაუძინებელ მტრად ვრჩები, ვინც ჩემს ქვეყანას რაიმესავნებს. პირველ რიგში, სანამ ვინმეს განქიქებას დავიწყებ და მით უმეტეს გაზეთის ფურცლებიდან, ყოველთვის ვიხსენებ ჩემი პედაგოგების რჩევას, რომლებიც იმ კომუნისტურ დროში მასწავლიდნენ — სანამ რამეს დაწერ, დაფიქრდი, რომ შენ წინაშე მკითხველი დგას და შენი ფარი ჟურნალისტური ეთიკა და სამართალია. ჩემს უცნობ კოლეგას მივმართავ, დაიკო, არ გიყვარს ლეიბორისტები, ტრადიციონალისტები, მონარქისტები, ნაციონალები თუ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები? ეს შენი პირადი საქმეა, მაგრამ მათ სიძულვილს შენს სამშობლოს ნუ გადააყოლებ, მით უმეტეს იმ პასკვილების თარგმნითა და გამოქვეყნებით, რომელიც ავანტიურისტთა ნახელავია. გაზეთის რედაქტორობა გაზეთის დასაკუთრებას არ ნიშნავს — შენ წინ მკითხველი, შენ უკან კი — საქართველოა.*

**მამუკა ვაშაკიძე**

## ◉ ინფორმაცია

### 14 ქართველი კვლავ ტყვეობაშია

**ოკუპირებული** აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ დროისთვის ტყვეობაში უკანონოდ დაკავებული საქართველოს 14 მოქალაქე რჩება.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო უწყება ავრცელებს.

ოფიციალური ინფორმაციით, აღნიშნული მოქალაქეები რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და მარიონეტული რეჟიმის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში არიან დაკავებულნი.

— ისინი საერთაშორისო სამართლის სრული დარღვევით იმყოფებიან ტყვეობაში. მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მცდელობებისა, ჯერჯერობით ვერ ხერხდება ამ ადამიანების გათავისუფლება და ოჯახებში დაბრუნება, — ნათქვამია განცხადებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტრო უკანონო ტყვეობაში მყოფი ქართველების გათავისუფლებას მოითხოვს და ამ პროცესში გააქტიურებისკენ საერთაშორისო თანამეგობრობას კიდევ ერთხელ მოუწოდებს.

### ოსი ბავშვები საახალწლო ზეიმზე მიიწვიეს

**სეპარატისტული** სამხრეთ ოსეთიდან 12 ბავშვი მოსკოვში კრემლის ტრადიციულ ნაძვის ხეზე გაემგზავრება. კოკოითის კრიმინალური მთავრობის ე.წ. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდული პოლიტიკის სამინისტროს განათლების განყოფილების გამგის ელზა ჯიოევას ინფორმაციით, ბავშვები, რომლებიც მოსკოვში გაემგზავრებიან, მხოლოდ ცხინვალიდან არ იქნებიან.

— ეს იქნებიან სამხრეთ ოსეთის სხვადასხვა რაიონში მაცხოვრებელი ბავშვები მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახებიდან. ასევე იქნებიან სხვა და სხვა კონკურსზე გამარჯვებული ბავშვები,— აცხადებს ჯიოევა.

მისივე თქმით, ბავშვები მოსკოვის თვალსაჩინოებებს დაათვალიერებენ და ქვეყნის მთავარ ნაძვის ხის ზეიმს დაესწრებიან. ყველაფერი იმის შემდეგ, რაც ჩვენმა ბავშვებმა გადაიტანეს, მათთვის დადებითი ემოციები უბრალოდ აუცილებელია. საახალწლო ნაძვის ხის ზეიმი მოსკოვში 23 დან 28 დეკემბრის ჩათვლით გაიმართება.

### ცხინვალს 5 მილიარდზე მეტი რუსული რუბლი გამოუყვეს

**რუსეთის** ფედერაციის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას ე.წ. სამხრეთ ოსეთში მიმდინარე აღდგენითი სამუშაოების დაფინანსების შესახებ. ამ განკარგულებით რუსეთის ფედერალური ბიუჯეტიდან ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რიგი ახალი ობიექტების ასაშენებლად დამატებითი თანხების გამოყოფა იგეგმება.

აღნიშნული დოკუმენტის თანახმად,ზემოთ ნახსენები სამუშაოების დაფინანსებისათვის 2009-2010 წლებში გამოყოფილი თანხა 5 მილიარდ 69 მილიონ 879 ათას რუსულ რუბლს შეადგენს.

ოსური მედიის ინფორმაციით აღსადგენ და ასაშენებელ ობიექტთა შორისაა გაზის გამანაწილებელი ქსელები, ელექტროგადამცემი ხაზები და მათ შორის ვერტმფრენის დასაჯდომი ორი მოედნის (ვერტოდრომის) მშენებლობა — ჯავასა და ახალგორში.

ჯი-ეიბ-ენი

## ◉ აქტუალური ინტერვიუ

# „მისტრალის“ რუსეთისთვის მიყიდვით საფრანგეთი „ევროკავშირის ქცევის კოდექსს“ არღვევს...

(მეოთხე გვერდიდან)

ამ შემთხვევაში ჩვენთან ერთად ნატოს ბევრი ქვეყანაა. ბალტიისპირეთი და პოლონეთი იზიარებენ ამ შეშფოთებას. ეს კი იმის საფუძველს მოგვცემს, რომ ჩვენ ამ გაყიდვის ჭეშმარიტ მიზნებსა და ამოცანებს გავეცნოთ. ვიმედოვნებთ, რომ ეს სავაჭრო გარიგება არ განხორციელდება, რადგანაც იგი „ევროკავშირის ქცევის კოდექსს“ ეწინააღმდეგება.

**— არსებობს ასეთი მიყიდვის პრეცედენტი, როცა მშვიდობის დამყარების შუამავალი ქვეყანა იმ აგრესორ ქვეყანას, რომელიც სხვისი ტერიტორიის ნაწილის მითვისების შემდეგ ხმამაღლა აცხადებს, ეს გემი დანარჩენის დასაპყრობად მინდაო, ასეთ საშიშ იარაღს აძლევდეს?**

— ასეთი მსხვილი კალიბრის შეიარაღების მიყიდვის პრეცედენტის მოძიება რთულია. გარიგების დეტალები ცნობილი არაა. საფრანგეთი ირწმუნება, რომ არც კი განიხილავს შეიარაღებისა და ტექნოლოგიების მიყიდვას, რომ იგი რუსეთს მხოლოდ შანსს აძლევს. მაგრამ ამას ჩვენთვის არანაირი მნიშვნელობა აქვს. მას უფრო მეტი განმარტების მიცემა მოუწევს არა მარტო ჩვენთვის, არამედ ნატოს პარტნიორებისთვის. არსებობს ნატოს დეტალური შეკითხვები, რომელსაც საფრანგეთმა უნდა უპასუხოს.

**— ამავე დროს, საფრანგეთმა ორი გემის — კორვეტის საქართველოსთვის მიყიდვაზე უარი განაცხადა. ეს გაახმოვანა სალომე ზურაბიშვილმა.**

— მე სალომე ზურაბიშვილის სიტყვებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. საქართველოს ევროპის ქვეყნებთან სამხედრო აღჭურვასთან დაკავშირებული შეთანხმება აქვს, რათა მოხდეს ნატოს სტანდარტების შესაბამისად ჩვენი შეიარაღებული ძალების მოდერნიზაცია. ეს არის ისეთი საკითხი, რომელზეც საჯარო განცხადებები არ კეთდება მანამ, სანამ მათი განხორციელების დრო არ დადგება და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება იგი გამჭვირვალე პროცესი. საფრანგეთიდან უარი ჩვენ არაფერზე მიგვიღია, არც ერთ საკითხზე, რადგანაც ავღანეთის ოპერაციაში საქართველო და საფრანგეთი მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან. ავღანეთში ქართული კონტინგენტი საფრანგეთის კონტინგენტის შემადგენლობაშია და, აქედან გამომდინარე, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ჩვენი პარტნიორობა საკმაოდ ეფექტურია.

**— გასაგებია, რომ ნატოს წევრობისთვის საქართველო დიდ ხარკს გაიღებს. მაგრამ დასავლეთში ავღანეთის ოპერაციის მოტივაციისას ანტიტერორისტული ოპერაციების საჭიროების გარდა, ნარკოტიკების შემოდინების შეჩერებაც სახელდება. საქართველოში რატომ არაა ეს თემა აქტიურად განხილვადი?**

— ნებისმიერ სამხედრო განლაგებას რამდენიმე დატვირთვა აქვს. როგორც პოლიტიკური, ასევე — პრაგმატული. ბუნებრივია, ჩვენ ყველა ამ ასპექტიდან სარგებელს ვიღებთ. ნატოს სტანდარტებთან თავსებადობა საქართველოსთვის პოლიტიკური სტატუსის მიმნიჭებელია, რადგანაც იგი არა მარტო იმ უსაფრთხო სისტემის მომხმარებელია, რომელსაც ევროატლანტიკური უსაფრთხოების სისტემა ჰქვია, არამედ — წვლილის შემტანიც. ამას თავისი პოლიტიკური დატვირთვა აქვს და მაღალ შეფასებას იმსახურებს როგორც აშშ-ის მხრიდან, ასევე ნატოს სხვა პარტნიორებისგან.



**— საქართველოს მოსახლეობის რაოდენობაზე გაანგარიშებით საქართველოს ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ამ ანტიტერორისტულ ოპერაციებში. რა პრინციპს ეფუძნება გასაგზავნი კონტინგენტის რაოდენობა?**

— ყველა სამხედრო ოპერაცია იგეგმება სამხედრო ოპერაციებისა და შესაძლებლობის რაოზიდან გამომდინარე. ყველაფერი ამოცანებზეა დამოკიდებული. ქართული კონტინგენტის გაგზავნა ჩვენი როგორც ფინანსური, ასევე ტექნიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე იგეგმება და ხდება იმ რაოდენობის შერჩევა, რომლის გაგზავნაც საქართველოს ძალუძს. ბუნებრივია, რაოდენობასთან დაკავშირებით მიმდინარეობს კონსულტაციები როგორც ნატოსთან, ასევე იმ ქვეყანასთან, ვინც ამა თუ იმ ოპერაციის უშუალო კოორდინატორია. საქართველოს კონტინგენტი ავსებს იმ ნიშას, რომელიც თავისუფალია. ეს არის ჩვეულებრივი ტექნიკური პროცესი, რომლის ნაწილიც ჩვენა ვართ.

**— ქართულ საზოგადოებაში რუსეთთან დიალოგის დაწყებასთან დაკავშირებით არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ოპოზიციის ზოგიერთი წარმომადგენელი უკვე იქაა და შეხვედრებს მართავს.**

— მოლაპარაკება ყველა მეზობელთანაა საჭირო. მთავარია საქართველოს სუვერენიტეტი აღდგეს. ერთადერთი თემა, რაზეც რუსეთთან მოლაპარაკებაა შესაძლებელი და რაშიც საერთაშორისო დონეზე ჩვენი პარტნიორების დახმარება გვჭირდება ესაა ის, რომ პირველ რიგში რუსეთმა პატივი სცეს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელსაც თავად რუსეთის პრეზიდენტმა მოაწერა ხელი. ჯერ ჯარები გაიყვანოს და შემდეგ საუბარს სხვა თემებზეც დავიწყებთ.

**— ნოღაიდელი ამბობს, რომ რახან არ გაჰყავთ, ამიტომაც უნდა ველაპარაკოთო...**

— ეს მისი პირადი საქმეა. ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვაზე. როცა რუსეთი მსოფლიო არენაზე ევროპის უსაფრთხოების ახალი ინიციატივით გამოდის, პირველ რიგში, ალბათ, უნდა დადგეს საკითხი, რომ რუსეთმა უკვე არსებულ საერთაშორისო ნორმებსა და სტანდარტებს თავად სცეს პატივი, ანუ აღიაროს სხვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. ვიმეორებ, პირველი საკითხი, რაზეც რუსეთთან დიალოგი შეიძლება დაიწყოს — ეს არის ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების პუნქტების შესრულება. როცა ამერიკის პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა, მან განაცხადა, რომ რუსეთმა პატივი უნდა სცეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს, რომ ამერიკა ამ საკითხში საქართველოს მხარს დაუჭერს, რომ იგი ამ პროცესში აქტიურადაცაა ჩართული. თუ რა ფორმით უნდა მოხდეს ეს, ყველას თავისი მოსაზრება აქვს. არსებობს გარკვეული სქემები და მექანიზმები, რომლის საშუალებითაც ეს უნდა გაკეთდეს. ჩვენ ამ შემთხვევაში მომხრე ვართ, რომ რაც შეიძლება მეტი იყოს საერთაშორისო ჩართულობა, თავად პროცესი კი საქართველოსთვის საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიებით წარიმართოს.

**ია მერკვილაძე,**
„სრ“ საკ. კორ.
ნიუ-იორკი, აშშ

## ◉ ინფორმაცია

# ინგრევა რაფიელ ერისთავის მუზეუმი

**ახმეტის რაიონის სოფელ ქისტაურში რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმი ნგრევის პირასაა. როგორც ადგილობრივებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, მუზეუმში წყალი ჩადის და კედლებიც დაბზარულია.**

**ქისტაურის მცხოვრებლების თქმით, რაფიელ ერისთავის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების თხოვნით ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობას და მაჟორიტარ დეპუტატს პეტრე ცისკარიშვილს არაერთხელ მიმართეს, თუმცა ამ დრომდე უშედეგოდ.**

**ახმეტის რაიონის სამუზეუმო გაერთიანების უფროსის თამაზ შაშიაშვილის განცხადებით, რაფიელ ერისთავის სახლი 1857 წელს არის აშენებული და დაზიანებები სიძველითაა გამოწვეული. — წლევანდელი ბიუჯეტი ამოწურულია და ვერაფერს გავაკეთებთ. საგანგაშო არაფერი ხდება. წყალი ჩადის, კედლებიც არის დაბზარული, მაგრამ მერე რა მოხდა? სხვა მუზეუმები ამაზე უარეს მდგომარეობაშია, — განაცხადა შაშიაშვილმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

## ◉ ეკოლოგიური კატასტროფა

# ნაძვები იჩეხება, განმკითხავი კი არავინაა!

**თბილისის საკრებულოს 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით, თბილისში არსებულ 47 ბაღსა და პარკს რეკრეაციული ზონის სტატუსი მოეხსნა. მათ შორის აღმოჩნდა აღმაშენებლის ხეივანში მუხათგვერდის გადასახვევის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ამჟამად კერძო საკუთრებაშია.**

ცნობისთვის: საჯარო რეესტრის ამონაწერიდან ირკვევა, რომ ეს ტერიტორია ვინმე თეიმურაზ ჭანკოტაძის საკუთრება იყო (2008 წ. 12 დეკემბერიძ, სანოტარო აქტში ვკითხულობთ, რომ ტერიტორია 2009 წლის 13 აგვისტოდან ეკუთვნის მოქალაქე თამაზ ბიკაშვილს. **„17 სექტემბერს თამაზ ბიკაშვილმა განაცხადა, რომ სურს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, თბილისის, აღმაშენებლის ხეივანი მუხათგვერდის გადასახვევის მიმდებარე ნაკვეთი თანასაკუთრებისა და გამოსყიდვის უფლებით მიჰყიდოს თამარ როსტოშვილს, ხოლო თამარ როსტოშვილმა განაცხადა, რომ სურს თანასაკუთრებისა და გამოსყიდვის უფლებით იყიდოს თამაზ ბიკაშვილის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება“.**

ადგილობრივი მოსახლეობის თქმით, მოვლენები აღმაშენებლის ხეივანში ასე განვითარდა: პირად მესაკუთრეთა წარმომადგენლები აგვისტოში გამოჩნდნენ და ამ ტერიტორიის შეღობვა დაიწყეს. თუმცა ნაძვების გაჩეხვაზე არაფერი თქმულა.

**თინათინ პეტრიაშვილი,** კორპუსის ამხანაგობის თავმჯდომარე:

**„მოვიდნენ პიროვნებები და დაიწყეს აზომვითი სამუშაოების ჩატარება, მოსახლეობა გავიდა და ვითარებაში გარკვევა მოითხოვა. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გავიგეთ, რომ ეს იყო კერძო საკუთრება და აპირებდნენ გარკვეული სამუშაოების ჩატარებას.**



**მივხვდით, რომ ნაძვების გაჩეხვა უნდოდათ და განგაში ავტეხეთ, მოვიდნენ ტელევიზიები, ასევე „მწვანეთა პარტიისა“ და „ლეიბორისტული პარტის“ წარმომადგენლები. მათ წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, გადააღებინეს ყველაფერი. შეწყვიტეს ჩეხვა და სხვათა შორის ორი დღე აღარავინ გამოჩენილა.**

**ჩვენ გვეგონა, რომ საერთოდ აღარ გაჩეხავდნენ. ეს იყო 17 სექტემბერს. 19-ში ისევ მოვიდნენ და ისევ დაიწყეს ჩეხვა. ამხელა წინააღმდეგობის მიუხედავად, მწვანე ნარგავები სულ გაჩეხეს. რა ფორმით არ ვცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა. თითოეულ ხესთან ვიდექით ქალები და ბავშვები, დიდი შეხლა-შემოხლა ატყდა, გვაფრთხილებდნენ, რომ თუ ვინმეს რამე დაუშავდებოდა, პასუხს არ აგებდნენ.**

**გამოიძახეს პატრული, ჩვენდა გასაკვირად, პატრულმა ჩვენ დაგვიპირა გარეკვა. გვემუქრებოდნენ, თუ კერძო მესაკუთრეს ხელს შეუშლით, აქტს შევადგენთ კანონის დარღვევისთვისო.**

**17 სექტემბერს გაჩეხვა დაიწყეს, მათ წინააღმდეგობა გაუწია პაატა ჯიბლაძემ (ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელი) და იმ დღეს შეაჩერეს მუშაობა. 19 სექტემბერს მწვანე საფარი მასობრივად გაიჩეხა. სასწრაფოდ შევაგროვეთ ხელმოწერები და გავგზავნეთ გარემოს დაცვის სამინისტროში, რათა გაგვერკვია, რამდენად სამართლიანი იყო ეს ქმედება. მოგვიანებით მოვიდა წერილი, რომ ეს იყო კერძო საკუთრებაში გადასული ტერიტორია და საკუთარი სურვილის შესაბამისად მოიქცნენო.**

**ამის შემდეგ საქმეს „მწვანეები“ ჩაუდგნენ სათავეში. ვცდილობდით, სანამ გამოძიება შედეგს გამოიღებდა, თვითონ დაგვეცვა ნარგავები, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ გადარჩენა. დიდი და პატარა ვტიროდით, ჩვენ ამ ნაძვებთან ერთად გავიზარდეთ. ეს არის დაახლოებით 50-60 წლის წინათ დარგული ნაძვები. ისინი სამამულო ომში წამსვლელმა ახალგაზრდებმა გაახარეს. მათი ნაწილი უკან აღარ დაბრუნებულა“.**

იშვიათი ჯიშის ნარგავები, რომელთა გაზრდასაც ათეული წლები დასჭირდა, ორ დღეში მთლიანად განადგურდა. ხსენებული ტერიტორია რეკრეაციულ ზონად ითვლებოდა და, აქედან გამომდინარე, იკრძალებოდა ნარგავების გაჩეხვა (კენკროვანი მცენარეების გარდა, რომელიც სულ 5-10 ძირი იქნებოდაძ და შემდეგ განაშენიანება. ამის მიუხედავად, ეს ტერიტორია გასხვისდა. 17-19 სექტემბერს ნაძვების გაჩეხვას ხელი შეუწყო 11 სექტემბერს მიღებულმა კანონმა, რის საფუძველზეც მოეხსნა რეკრაციული ზონის სტატუსი.

**ზურაბ ჯამაგიძე,** ეკოლოგიური სამართლის ცენტრის იურისტი:

**„მოსახლეობამ დაგვირეკა და გვაცნობა, რომ მისაკუთრებულ ტერიტორიაზე ნაძვები იჩეხებოდა. ადგილზე გავედით, შევისწავლეთ ვითარება და თბილისის მერიას მივმართეთ წერილობით, რომ მესაკუთრის კუთვნილ არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე არსებული ხე-მცენარეები იჭრებოდა. საჭირო იყო, კანონის ფარგლებში მიეღოთ შესაბამისი ზომები, რომელიც ითვალისწინებდა სახელმწიფო ტერიტორიაზე ნარგავების დაცვას, მოჭრის შემთხვევაში კი — ადმინისტრაციულ ჯარიმას. ჩვენ გამოძიების დასაწყებად არანაირი საფუძველი არ გვქონდა.**

**მერიიდან პასუხად მივიღეთ, რომ აღნიშნული სცილდება თბილისის მერიის კომპეტენციას, რადგან ეს ტერიტორია უკვე პირად საკუთრებაშია.**

გთავაზობთ ამონარიდს გარემოს დაცვის ინსპექციის წერილიდან:

**„გაცნობებთ, რომ კერძო საკუთრებაში არსებულ მიწაზე ხის მოჭრის ფაქტზე გარემოს დაცვის ინსპექცია მოკლებულია შესაძლებლობას, გაატაროს საქართველოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები, რაც შეეხება, „ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვას, ამ საკითხთან დაკავშირებით ინსპექციამ წერილობით მიმართა თბილისის მერიის შესაბამის სამსახურებს და მიღებული პასუხებისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა მასალების ანალიზის შემდეგ, გარემოს დაცვის ინსპექცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, განახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, რის შესახებაც გაცნობებთ დამატებით. ინსპექციის უფროსი ნიკოლოზ ჩიმაკაძე“.**

წერილიდან გამომდინარე, მართალია, გარემოს დაცვის ინსპექციამ ნება არ დართო კერძო მესაკუთრეს, მაგრამ არც ხელი შეუშლია. კანონში წერია, რომ უნდა დაიცვა ნარგავები, რა მნიშვნელობა აქვს რომელ ადგილზეა. გაურკვეველია, პასუხი ვის მოეთხოვება. სახელმწიფო სტრუქტურები ამ ეტაპზე საკითხს სწავლობენ. საკითხავია, როდემდე გაგრძელდება ეს პროცესი, ერთი რამ კი ცხადია: ნაძვები გაიჩეხა. თუ ასე გაგრძელდა, თბილისს ეკოლოგიური კატასტროფა ემუქრება.

**თინათინ ბორცვაძე**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# არავითარი რუსული – აფხაზეთის არჩევნებზე

**გასულ შაბათს აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნებში გაიმარჯვა სერგეი ბაღაფშმა. რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონაცემებით მან ხმების 59,4 პროცენტი დააგროვა. ბაღაფშის მოწინააღმდეგეები აცხადებენ დარღვევების შესახებ კენჭისყრის დროს და აპირებენ არჩევნების შედეგების გაპროტესტებას.**

მაგრამ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კენჭისყრის შედეგები აფხაზეთში არ გადაისინჯება, ოპოზიციის წარმომადგენლები კი დამარცხდნენ, ვინაიდან ერთმანეთთან ბრძოლას უნდებოდნენ.

აფხაზეთში კენჭისყრას თვალყურს ადევნებდა 86 საერთაშორისო მეთვალყურე 24 ქვეყნიდან და ყველა მათგანმა არჩევნები მიიჩნია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. საქართველომ, როგორც მოსალოდნელი იყო, არჩევნები აფხაზეთში არ აღიარა და ბრალი დასდო რუსეთს ფარსის დადგმაში.

აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნებამდე ერთი დღით ადრე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ბრალი დასდო რუსეთს ამორალური სპექტაკლის დადგმაში სახელწოდებით „პრეზიდენტის არჩევნები აფხაზეთში“. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ასევე კენჭისყრამდე გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ამ არჩევნების შედეგად „მოსკოვის კრაეტურა, რომელიც შეირჩა სპექტაკლის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, გამოცხადდება აფხაზეთის პრეზიდენტად“. საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ არჩევნებს მიიჩნევს ფარსად, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ლეგიტიმური საფუძველი. ამავე დროს, საქართველოს დიპლომატიური უწყება მიუთითებს, რომ აფხაზეთში, როგორც ეს დოკუმენტშია აღნიშნული, არაერთგზის ეწყობოდა ეთნიკური წმენდები, იქიდან გამოდევნეს მოსახლეობის სამი მეოთხედი, თანაც



უკანასკნელი ეთნიკური წმენდა მოეწყო 2008 წლის აგვისტოში. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მოუწოდებს საერთაშორისო გაერთიანებას, „მისცეს შესაბამისი შეფასება ფარსს, რომელიც დადგა რუსეთმა ოკუპირებულ ტერიტორიაზე“.

აფხაზეთშიც არის ხალხი, რომელსაც მიაჩნია, რომ არჩევნებში გაიმარჯვა „ადმინისტრაციულმა რესურსმა“. გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდის“ მთავარი რედაქტორი და მფლობელი ინალ ხაშიგი ერთ-ერთ ინტერვიუში იტყობინება, რომ კენჭისყრის დროს გამოვლინდა დარღვევები, რის შესახებაც ამჟამად ოპოზიციის წარმომადგენლები საუბრობენ. მათ, კერძოდ, აქვთ დამადასტურებელი დოკუმენტები საარჩევნო უბნებიდან ბიულეტენების გამოტანისა და იქ დამატებითი სიების გაჩენის შესახებ. მაგრამ გაზეთის რედაქტორი მიიჩნევს, რომ არჩევნების შედეგები არ გადაისინჯება.

– მხოლოდ ერთმა კანდიდატმა უკვე განაცხადა, რომ იგი, ალბათ, არ აღიარებს ამ არჩევნებს – ეს არის რაულ ხაჯიმბა. ოპოზიციის სხვა კანდიდატები – ბესლან ბუტბა და ზაურ არძინბა ჯერჯერობით დუმან. სამაგიეროდ რბოლის აუტსაიდერი ვიტალი ბლანბა ოფიციალურად ულოცავს პრეზიდენტს გამარჯვებას. ამჟამად მიმდინარეობს იმის შეფასება, თუ რა ხდებოდა არჩევნებზე და არის ბევრი შეკითხვა, რომლებიც უპასუხოდ დარჩა. კერძოდ, თუ გავაკეთებთ შედარებით ანალიზს 2004 წლის პრეზიდენტის არჩევნებთან, გამოირკვევა, რომ მაშინ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 86,5 ათასმა კაცმა. ამჟამინდელ არჩევნებში კი – 103 ათასმა კაცმა. თანაც წინანდელ პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეეძლო აფხაზეთის ყველა მცხოვრებს, მათ შორის გალის მოსახლეობასაც იმ დოკუმენტებით, რომლებიც მათ ხელთ ჰქონდათ იმ დროისთვის – ძველი საბჭოთა პასპორტები. ხოლო ისინი, ვისაც ასეთი პასპორტები არ გააჩნდათ, ხმას აძლევდა ეგრეთ წოდებული „№ 9 ფორმით“ – ეს არის დროებითი დოკუმენტი, რომელიც დგებოდა პასპორტის დაკარგვის შემთხვევაში. ამჟამინდელ არჩევნებში კი კენჭისყრის უფლებას აძლევდნენ მხოლოდ აფხაზეთის მოქალაქეების პასპორტებით. ესე იგი გალის რაიონის ფაქტობრივ ნაწილს, რომელსაც წინა არჩევნებში ჰქონდა ხმის მიცემის უფლება, ამჟამად ასეთი შესაძლებლობა აღარ გააჩნდა.

– შეიძლება ითქვას, რომ აფხაზეთის პრეზიდენტის არჩევნები მიმდინარეობდა გარედან რაიმე ჩარევის გარეშე? არჩევნებზე რუსეთის გავლენაზე არავინ ლაპარაკობდა?

– ეს არ ყოფილა. გავლენა კი იყო, უფრო მეტად საშინაო. ეს იყო ადმინისტრაციული რესურსი ერთი კანდიდატის სასარგებლოდ.

აფხაზეთის ხელმძღვანელის ინაუგურაცია გაიმართება მომავალი წლის 12 თებერვალს.

Radio Free Europe Radio Liberty

## აფხაზეთი, რომელიც გათამამდა სადავო არჩევნების შემდეგ, დაბეჯითებით მოითხოვს საქართველოსგან დამოუკიდებლობას

**ქვეყნის მოქმედმა პრორუსული განწყობილების პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გასულ უქმე დღეებში დიდი უპირატესობით აჯობა 4 კონკურენტს და პირველსავე ტურში დააგროვა ხმების 59,4 პროცენტი. კრიტიკოსების სიტყვებით, არჩევნები გაყალბებული იყო.**

აფხაზეთის ოფიციალური პირები და „მისი ერთადერთი დიდი მეგობარი – რუსეთი“, მათი სიტყვებით, ძალიან კმაყოფილი არიან არჩევნების შედეგებით. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ მაქსიმ გუნჯიამ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ სატელეფონო ინტერვიუში იმედი გამოთქვა, რომ „ამ არჩევნების წარმატებული მსვლელობა“ დაეხმარება საქართველოსგან გამოყოფილ სახელმწიფოს, გამოვიდეს საერთაშორისო იზოლაციიდან. დღეისთვის აფხაზეთი აღიარეს რუსეთმა, ნიკარაგუამ და ვენესუელამ, რიგშია წყნარი ოკეანის ჯუჯა სახელმწიფო ნაურუ.

ბაღაფშმა თავისი საკუთარი გამარჯვების გამოცხადების შემდეგ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ „აფხაზეთი უკვე აღარასოდეს არ იქნება საქართველოს ნაწილი“. ოფიციალური თბილისი კი, მიუხედავად ამისა, მიიჩნევს მეამბოხე პროვინციას თავის სუვერენულ ტერიტორიად. აფხაზეთის გამოყოფის წინააღმდეგ გამოდიან ის ლტოლვილები, რომლებიც 1990-იანი წლების დასაწყისში სამოქალაქო ომის დროს გამოდევნეს საკუთარი სახლებიდან.

ოპოზიციური კანდიდატები აღშფოთებული არიან, რომ ყველა ინვესტიციის 90 პროცენტი აფხაზეთში რუსეთიდან შემოდის. ამას გარდა ისინი შიშობენ, რომ უძრავი ქონება ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის დროს სახელგანთქმულ შავი ზღვისპირეთში შეიძლება შეისყიდონ უცხოელებმა.

აფხაზეთის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა, რომელმაც ხმების 15 პროცენტი მოაგროვა, ასაჩივრებს კენჭისყრის შედეგებს. ის ამტკიცებს, რომ რუსეთის ტელეარხები, რომლებიც მაუწყებლობას ახორციელებენ აფხაზეთშიც, აშკარად მხარს უჭერდნენ ბაღაფშს. ხაჯიმბას სიტყვებით, ზოგიერთ საარჩევნო უბანში ადგილი ჰქონდა გაყალბებას, ხოლო სახელმწიფო მოსამსახურეები ხმას აძლევდნენ მოქმედ პრეზიდენტს იძულებით.

„ადმინისტრაციული რესურსის გადალახვა შეუძლებელი აღმოჩნდა“, – განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში ბაღაფშის მეორე მოწინააღმდეგემ, მეწარმე ბესლან ბუტბამ.

**ფრედ უეირი**

The Christian Science Monitor

## დევნილებმა საქართველოდან და რუსეთიდან პოლონეთში მატარებელი ჩაიგდეს ხელთ

**ქართველებმა, ჩეჩნებმა და ინგუშებმა მოინდომეს სტრასბურგამდე ჩასვლა და ჩივილი ლტოლვილებისთვის განკუთვნილ ცენტრებში ყოფნის მძიმე პირობების გამო. მაგრამ ისინი შეაჩერეს პოლიციამ და მესაზღვრეებმა გერმანიის საზღვართან.**

კავკასიიდან 200-ზე მეტმა გამოქცეულმა ხელში ჩაიგდო ცარიელი სამგზავრო მატარებელი ქალაქ ლეგნიცეს მთავარ სარკინიგზო სადგურზე პოლონეთის სამხრეთ-დასავლეთში.



მატარებლის ხელში ჩამგდებნი ცხოვრობდნენ პოლონეთის დევნილთა ცენტრებში. როგორც იტყობინებიან, ყველა მათგანი ელოდებოდა თავიანთი თხოვნის დაკმაყოფილების განხილვას საცხოვრებლის მინიჭებასთან დაკავშირებით – ესე იგი დევნილების ოფიციალური სტატუსი მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ.

პოლონეთის რკინიგზის ხელმძღვანელობამ პოლიციასთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება, არ დაებრკოლებინათ მატარებლის გავლა პოლონეთ-გერმანიის საზღვრამდე. მაგრამ ქალაქ ზგოლოჟეცში მატარებელი შეაჩერეს პოლიციის ძალებმა და სასაზღვრო სამსახურმა.

ევროპული და პოლონური კანონების თანახმად, დევნილების ცენტრებში მყოფ ლტოლვილებს არ შეუძლიათ გადალახონ საზღვრები ქვეყნებს შორის, რომლებიც შედიან შენგენის ზონაში შესაბამისი ვიზების უქონლად.

ამავე დროს პოლონეთის ხელისუფლებამ კანონიერად მიუთითა, რომ მატარებლის ხელში ჩამგდებ ადამიანებს არ გააჩნდათ რკინიგზის ბილეთები.

როგორც ბი-ბი-სის რუსეთის სამსახურის წარმომადგენელი ჟურნალისტი ანჯეი ანჯეევსკი იტყობინება, მატარებლის ხელში ჩამგდებთა შორის ბევრი ქალი და ბავშვია.

მოლაპარაკებამ, რომელიც რამდენიმე საათი გრძელდებოდა, შედეგი არ გამოიღო და ლტოლვილები მატარებლიდან გამოიყვანეს პოლიციის დახმარებით. ამავე დროს, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, პოლიციელებს ძალა არ გამოუყენებიათ.

პოლონეთის კანონებით ამგვარი მოქმედება შეიძლება შევაფასოთ, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. როგორც პოლონური გაზეთი „რეჩპოსპოლიტა“ იტყობინება, მატარებლის ხელში ჩამგდებლებს შეიძლება დაემუქროთ ციხეში ყოფნა 3 წლამდე ვადით. მაგრამ, როგორც გამოცემა აღნიშნავს, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ლტოლვილებს ასე მკაცრად მოექცნენ.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**ბანგკოკში დაკავებული „ილ-76-ის“ ეკიპაჟს შეიძლება სასიკვდილო განაჩენი ელოდებოდეს**

მფრინავებმა ასეთი განაჩენი შეიძლება მიიღონ ასაფეთქებელ ნივთიერებათა არალეგალური შენახვის ახალ ბრალდებასთან დაკავშირებით. ამ დროს მფრინავებმა არ იცოდნენ, თუ როგორი ტვირთი ჰქონდათ მათ ბორტზე: საავიაციო დოკუმენტების მიხედვით, მათ არ აქვთ უფლება გახსნან რომელიმე კოლოფი და შეამოწმონ, თუ რა დევს მასში.

* * *

**ბელორუსიის ხელისუფლება ინტერნეტში ცენზურას აწესებს**



პროვაიდერებს შეუძლიათ გამორთონ ინტერნეტ-რესურსებში შესვლა, სადაც განთავსებულია „ექსტრემალური“ ინფორმაცია. ხელისუფლება აგრეთვე ამუშავებს მომხმარებელთა იდენტიფიკაციის მექანიზმს, მათ შორის ინტერნეტ კაფეებსაც.

* * *

**შეფერხება ავსტრალიის მელბურნის აეროპორტის კომპიუტერულ სისტემაში: რეისები შეჩერებულია გაურკვეველი ვადით**



უწესრიგობათა მიზეზი გახდა იმ ხომალდის დაზიანება, რომელიც უზრუნველყოფდა მთავარი კომპიუტერის მუშაობას. ამრიგად, აეროვაგზლის დარბაზებში დაგროვდა 6 ათასზე მეტი ავიამგზავრი.

* * *

**2026 წლისთვის ინდუსები ჩინელებზე მეტი იქნებიან, დაიანგარიშეს ამერიკაში**

დინამიკის ცვლილება აიხსნება უწინარეს ყოვლისა ეგრეთ წოდებული „ნაყოფიერების კოეფიციენტის“ შემცირებით, ანდა შობადობის რაოდენობის შემცირებით თითოეულ ქალზე. ჩინეთში ეს მაჩვენებელი 1990 წელს შეფასებული იყო, როგორც 2,2, 2000 წლიდან კი იგი 1,6-ს არ აჭარბებს. ინდოეთში ეს მაჩვენებელი ამჟამად სპეციალისტების შეფასებით, 2,7 შეადგენს.



◉ მოწიწება

# ანას დღე

**– 15 დეკემბერი ანას დღეა. ვულოცავთ საქართველოს! ეს სიტყვები რეფრენად გასდევდა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში გამართულ საღამოს, სადაც უკვე მარადისობის მკვიდრი, 85 წლის ანა კალანდაძე გაიხსენეს.**

საღამო ცნობილმა ფილოლოგმა, ბატონმა ავთანდილ არაბულმა გახსნა და აღნიშნა, რომ ტრადიციულად ანას დაბადების დღე – 15 დეკემბერი ანას დღედ დამკვიდრდება ინსტიტუტში. „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაოს“, „საქართველოო ლამაზოს“, „მოდიოდა ნინო მთებით“, „ფეხი დამადგით“, „ჩამოვფრინდები, იასამანოს“ ავტორი მუშაობის დაწყებიდან სიცოცხლის ბოლომდე ენათმეცნიერების ინსტიტუტს ერთგულებდა. 1946 წელს, ფილოლოგიის ფაკულტეტის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილების დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ ბატონმა არნოლდ ჩიქობავამ ენათმეცნიერების ინსტიტუტში მიიღო სამუშაოდ. მას შემდეგ ანა კალანდაძის ცხოვრება ამ შენობას გადაეჯაჭვა – ეროვნულ სამეცნიერო დაწესებულებად მიიჩნევდა და წუთით არ მიუტოვებია საინსტიტუტო საქმე.

– ენა ჩემი ბედისწერააო, ამბობდა. ენაზე ზრუნვის გარეშე დღეც არ უცხოვრია. აღსანიშნავია, რომ მთაწმინდის ბინადარი ქალბატონი ანა ჩვეულებრივ ენათმეცნიერად გვევლინებოდა, – აღნიშნა გიორგი გოგოლაშვილმა.

ბატონმა გიორგიმ შეკრებილთ წარუდგინა „ინტელექტის“ მიერ გამოცემული მინიატიურების კრებული „სიყვარულისაგან ფართოვდება ქვეყანა“. ეს წიგნი თავად შეადგინა. – თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი ანას პროზა არაფრით ჩამოუვარდება პოეზიას, და რაც არსებითია, კლასიკოსის ქმნილებებია...

ქალბატონი გუჩა კვარაცხელიასთვის კი, ანა კალანდაძის მცირე პროზა იგივე პოეზიაა, ანუ ლექსები – პროზად. ხოლო მთლიანად მისი შემოქმედება სულიერებით გამოირჩევა.

– იმის მიუხედავად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქვეყანა ვართ, თანამედროვე მსოფლიო პოეზიაში სათანადო ადგილს ვერ ვიკავებთ. სამწუხაროდ, ქართული პოეზიის მარგალიტები, თუნდაც ანას პოეზია უცხოეთში ვერ გაგვიტანია. ამას კულტურულ დონეზე სჭირდება წარდგენა, და არა ამ ბოლო დროს ჩვენში დამკვიდრებული ე. წ. პიარი.

ქალბატონი გუჩას თქმით, ქართული გენი ყველაზე მეტად ქართულ აზროვნებაში გაცხადდა. ჯერ ჩვენი ფენომენის შესწავლა გვმართებს, რათა შემდეგ მსოფლიოს მწვერვალებსაც შევუდაროთ.

ანა კალანდაძე გაიხსენეს: ია ასათიანმა, ვაჟა შენგელიამ, თამარ ბეროზაშვილმა, მზია ბაქრაძემ, მედეა ღლონტმა. ანასადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა თამარ მახარობლიძემ.

ქალბატონმა მზია ბაქრაძემ განსაკუთრებით აღნიშნა ანას დიდი სიყვარული ფშავისადმი, მისი ზრუნვა იქაურ სკოლებზე. აღსანიშნავია, რომ „კავკასიური სახლის“ მონდომებით, აღდგება



შუაფხოს არასრული საშუალო სკოლის შენობა და მას ანა კალანდაძის სახელი მიენიჭება.

ამაღელვებელი იყო ქალბატონი თამარ ბეროზაშვილის მოგონება: ენათმეცნიერების ინსტიტუტში ანას მაგიდას ყოველთვის ცოცხალი ყვავილები ამშვენებდა. ამ მაგიდასთან და ყვავილებთან ხშირად უნახავთ იგი ფიქრებთან განმარტოებული, იდუმალებით მოცული. არ ყოფილა შემთხვევა, ამ დროს ვინმე შემოსულიყო ოთახში და ანასთვის ხმა გაეცა... ამით უდიდეს მოწიწებას და პატივისცემას გამოხატავდნენ მისდამი. ერთხელ ნიკო კეცხოველს უთქვამს: არჯაკელი შენი სიყვარულით დავრგეო.

თამარ ბეროზაშვილმა ის დღეც გაიხსენა, როცა სოფელ ბიწმენდში, აივანზე ისხდნენ და ვაზის ტირილს უმზერდნენ. სიცოცხლის უწყვეტობას გაუმარჯოსო, – აუწევია ჭიქა ანას. მერე იქვე ახლოს, არაგვზე გაუსეირნიათ. მუჭით ამოუღია არაგვის წყალი და უთქვამს: ჯერ არ დაწმინდავებულაო...

ისეთი იყო მუდამ – ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივი, მაგრამ პოეტური, სადა, განსაკუთრებული. სტუმართმოყვარე და მეგობრებით გარშემორტყმული...

ანას მეორე სიცოცხლე ახლა იწყება... და ყოველ 15 დეკემბერს მხოლოდ ანას ლექსები რომ ვიკითხოთ, ესეც საკმარისი იქნება ჩვენი სულებისთვის, პოეტის უკვდავსაყოფადაც. ლექსების კითხვის ეს იდეა ქალბატონმა გუჩა კვარაცხელიამ გაახმოვანა, და ყველამ მოიწონა.

მე კი ვიტყოდი: გაუმარჯოს ანა კალანდაძის დაბადებას და... ამავდროულად მის უსაშველო მონატრებას ამ წუთისოფელში...

**თამარ შაიშმელაშვილი**



◉ დევნილი – დევნილის თვალით

# სულ ახლოს და მაინც შორს,

## ანუ ბავშვობა 40 კილომეტრს იქით



**ამას წინათ ჩემმა სიყმაწვილის კი არა, სიბერეში დევნილის სტატუსით დაძმაკაცებულმა სამაჩაბლოელმა გურამ ოქრუაშვილმა დაბადების დღე ეს მერამდენედ აღნიშნა არა ოდაბადეში, არამედ ბავშვობის ულამაზეს კერას მოწყვეტილმა. მეც მიმიწვია როგორც კოლეგა ლტოლვილობის კუთხითა და გაგებით. შეხვედრისთანავე მივახალე, „მოწყვეტილობის“ მხრივ შენზე ნაკლები რითი ვარ-მეთქი.**

საიუმორო სიტყვებს არც გურამი ეძებს ჯიბეში და მეუბნება:

– ძალიან შორს რომ ვცხოვრობდე, იმას ვამჯობინებოდიო.

გაოცება რომ შემატყო, განმიმარტა:

– სახლზე ფიქრს გადავეჩვეოდი ამდენ ხანს. არადა, აქედან სულ რაღაც 40 კილომეტრზეა ჩემი სახლი და წარამარა მახსენდება. წარმოვიდგენ, თუ როგორ ხუხავს რუსი ჯარისკაცი ჩემს ეზოში დაკრეფილი თურაშაულისგან გამოხდილ არაყს.

ცრემლი რომ მოადგა თვალზე, იუმორი შევაშველე. ვეუბნები:

– ჩემს ეზოში დაკრეფილი კარალიოკის არაყს კი პირსაც არ აკარებენ თურმე რუსები და აფხაზები, პატრონს ვუნახავთო. რუსებს ჭაჭა დაუწუნებიათ და აფხაზებისთვის სახლის არაყი მოუთხოვიათ. კი აქვთ რუსებს პირის გემო...

ორივე ვიცინით. ასე იცის ჯერ ყელის და მერე ტვინის გასველებამ.

ხშირად იხსენებს ხოლმე სამოცდაათს გადაცილებული, 9-შვილიან ოჯახში აღზრდილი, მერმე კი მთელს სამაჩაბლოში ცნობილი ფარმაცევტი გურამ ოქრუაშვილი თავის ბავშვობას, რომელიც აქედან სულ რაღაც 40 კილომეტრზე დარჩა, ფრონეს ხეობაში. ორი ათეული წელი მიილია, რაც ბავშვობა იქითაა დავანებული, დანარჩენი წლები კი აქეთ – ფრონესა და ცხინვალს აქეთ. მხოლოდ მოგონებები შემორჩენია: ფრონეს ხეობა, მერე ცხინვალი და ჯავა, სადაც აფთიაქის გამგედ უმუშავია. მეგობრებსაც ხშირად იხსენებს. მათგან ქართველი ძმაკაცები აქეთ არიან, ოსები კი – იქით. აი, ოსი მეგობრების გახსენება კი უთუთქავს სულსა და გულს. ახლაც ცრემლი ადგება თვალებზე. ვამშვიდებ, ვეუბნები თვალებმოწყლიანებული, მეც ძალიან მენატრება-მეთქი ჩემი ახლო მეგობარი, მხატვარი სტასიკ ივანბა – აფხაზეთში ცნობილი მოქანდაკის ჭოლა კუკულაძის სიძე.

მოდი, ძმაო გურამ, ერთად მივმართოთ მსოფლიოს, გაეროს, ევროკავშირს, ეუთოს: რეზოლუციები და ქაღალდი კი არა, საკუთარი სახლები გვინდა ჩვენ!

**ანზორ გვარამია**

**სურათზე: გურამ ოქრუაშვილი**

◉ წარმატება

# ქართველმა სტუდენტმა იტალიის პრეზიდენტის მედალი მოიპოვა

**ფესტივალის, რომელიც უკვე რამდენიმე წელიწადია იტალიის ქალაქ ფლორენციაში ტარდება „DEGREE PROFESSION“ (ხარისხი და პროფესია), ორგანიზატორია „რომუალდო დელ ბიანკოს ფონდი“, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ამერიკისა და აზიის 500-მდე უნივერსიტეტს აერთიანებს.** ფონდის მისიაა ხელი შეუწყოს საერთაშორისო ინტეგრაციას. ფონდი ახალგაზრდებისთვის ფლორენციაში შეხვედრებს მართავს, რაც სხვადასხვა ქვეყნისა და კულტურის წარმომადგენლებს გაცნობისა და დაახლოების საშუალებას აძლევს. ამგვარად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის დამკვიდრებაში წვლილი შეიტანონ.

რომუალდო დელ ბიაკოს ფონდის ერთ-ერთი უმთავრესი ინტერდისციპლინარული, ინტერკულტურული და საერთაშორისო პროექტია „ხარისხი და პროფესია“. ამ პროექტის ფარგლებში გამართულ ფესტივალზე 19 ქვეყნის 35 სასწავლებლის 220 სტუდენტი მონაწილეობდა. რა თქმა უნდა, ყველა მედიახელოვნების პროფესიას დაუფლებული.

საქართველოდან ფესტივალზე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 5 სტუდენტი იყო წარგზავნილი, მათ შორის – ორი კურსდამთავრებული. სტუდენტებს თან ახლდნენ სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი ნანა იაშვილი, ასევე პროფესორები – მარინა თევზაია და რუსუდან ერისთავი. როგორც აღმოჩნდა, ფესტივალზე საქართველოდან ყველაზე ცოტა სტუდენტი იყო, მაგრამ აქაც არ დათმეს პირველობა და გრან-პრი და იტალიის პრეზიდენტის მედლით დაჯილდოებულები დაბრუნდნენ ქვეყანაში.

**ნანა იაშვილი, სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი:** 24-27 ნოემბერს იტალიის ქალაქ ფლორენციაში ჩატარდა საერთაშორისო ფესტივალი „ხარისხი და პროფესია“. ამ ფესტივალზე გრან-პრი და იტალიის პრეზიდენტის მედალი მივიღეთ. 2007 წელს მედიახელოვნების ფაკულტეტმა რომუალდო დელ ბიანკოს ფონდთან გავაფორმეთ მემორანდუმი და უკვე 2 წელიწადია ვმონაწილეობთ. შარშან მხოლოდ პრეზიდენტის მედლით დავბრუნდით, წელს კი უკვე ორი პრიზი ჩამოვიტანეთ. სოფო ანთიძემ, როგორც უკვე აღვნიშნე, მოიპოვა „პრეზიდენტის მედალი“, ხოლო სოფიო გოგოლაძემ გრან-პრი – 4000 ევრო. გარდა ამ ფესტივალისა, არის სხვა პროგრამები, სადაც ვმონაწილეობთ. შარშან იტალიაში წარვადგინეთ სტუდენტების სადიპლომო ნამუშევრები და მათ ჯილდოდ 500 ევრო გადაეცათ.

**სოფიო ანთიძე:** ეს იყო პროექტი ანიმაციის სახით. „ბავშვის წარმოსახვითი სამყარო“. ანიმაცია იყო ორი ტიპის: „ ანიმაცია და „ძველი სტილის ანიმაცია“. ეს ორივე ერთმანეთთანაა შერწყმული. მე წარმოდგენილი მქონდა კუბიკებით შექმნილი ბავშვის წარმოსახვითი სამყარო, რომელმაც საკმაოდ მაღალი ქულები დაიმსახურა.

**სოფო გოგოლაძე:** „ჩემი ნამუშევრების სახელია „ბაღი ცაში“, ანუ სახლის სახურავზე განლაგებულია ოთხი სახეობის ბაღი და გათვალისწინებულია სხვადასხვა ქვეყნების ბაღის მოწყობის სტილი და ტრადიციები (იაპონია, ეგვიპტე, რომი, საქართველო). ამ ნამუშევარმა გრან-პრი დაიმსახურა, რაც ძალიან მახარებს და ბედნიერი ვარ წარმატებებით“.

საღამოზე მიწვეული იყვნენ საქართველოს განათლების სამინისტროს, კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ასევე იტალიის საელჩოს წარმომადგენლები, ბოლოს, აკადემიის რექტორი ბატონი გია ბუღაძე სტუმრებს მიესალმა და გამარჯვებულებს ეს დიდი წარმატება მიულოცა. გადაწყდა, რომ ეს ფესტივალი 2010 წელს საქართველოში ჩატარდება.

**ხატია მუსერიძე**

## კოოპერატივ „გორის სამომხმარებლო კოოპერატივის“ მეპაიეთა საერთო კრების მოწვევის შესახებ

კოოპერატივ „გორის სამომხმარებლო კოოპერატივის“ გამგეობის 2009 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილებით, „გორის სამომხმარებლო კოოპერატივის“ მეპაიეებს გიწვევთ კოოპერატივის მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 28 დეკემბერს 11 საათზე, შემდეგ მისამართზე: ქ. გორი, გარსევანიშვილის ქ. №1.

დღის წესრიგი:

1) ახალი წესდების პროექტის განხილვა და მიღება;

2) პაის გაზრდა ან დამატებითი შენატანის ვალდებულების დაკისრება;

3) წარმომადგენელთა კრებასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა.

მეპაიეებს შეუძლიათ დღის წესრიგში დამატებით შეტანა კრების ჩატარებამდე 10 დღით ადრე წერილობითი შეტყობინების ფორმით, რომელიც გამგეობას უნდა გაეგზავნოს შემდეგ მისამართზე – ქ. გორი, გარსევანიშვილის ქ: №1.

კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე
ნ. ქობლიანიძე

ფეხბურთი

# დღეს რუსთავში



**ტრადიციისამებრ, საფეხბურთო სეზონს ქვეყნის სუპერთასისთვის გამართული მატჩი დააგვირგვინებს, რომელსაც დღეს 13 საათსა და 30 წუთზე რუსთავის განახლებული სტადიონი უმასპინძლებს. პრესტიჟულ ჯილდოს საქართველოს მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ და დავით ყიფიანის სახელობის ყაზბეგის თასის მფლობელი თბილისის „დინამო“ გაითამაშებენ.**

მართალია, პრინციპული მეტოქენი ახლახან დასრულებული ეროვნული ჩემპიონატის პირველი ნახევრის შემდეგ სატურნირო ცხრილში მეზობლები არიან და ერთი შეხედვით დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი, მაგრამ, ვფიქრობთ, ფავორიტად მაინც ვეტერინარები უნდა მივიჩნიოთ. გარდა იმისა, რომ უკანასკნელ წლებში „თეთრ-ლურჯებს“ მერაბ კოჭლაშვილის გუნდის კომპლექსი დასჩემდათ, შეხვედრის ხასიათზე გავლენას, ალბათ, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი კლუბის გადატვირთული ლაზარეთიც იქონიებს. შეგახსენებთ, რომ ტრავმირებულები არიან ფირცხალავა, კრუკო, ვაწაძე და ნემსაძე, ხოლო მერებაშვილი ახალგამოჯანმრთელებულია და ჩვეული კონდიციების აკრეფამდე ჯერაც ბევრი უკლია. მიგვაჩნია, რომ ბევრ რამეს ისიც გადაწყვეტს, თუ როგორ აუღებენ მოწინააღმდეგენი ალღოს ხელოვნურსაფარიან სარბიელს.

დავძენთ, რომ დღესვე რუსთაველი და თბილისელი ვეტერანები ამხანაგური თამაშით პატივს მიაგებენ ქვემოქართლელთა კოლორიტს იასონ ალადაშვილს, რომელსაც ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა.

კალათბურთი

# წილი ნაყარია

**გაისად 28 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე თურქეთი კალათბურთელ ვაჟთა მორიგ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს.**

**სტამბოლში გამართულმა მომავალი ფორუმის კენჭისყრამ ფინალური ეტაპის მონაწილენი ასე გაანაწილა:**

**„ა“ ჯგუფი** – სერბეთი, ავსტრალია, არგენტინა, იორდანია, გერმანია, ანგოლა.

**„ბ“ ჯგუფი** – აშშ, სლოვენია, ხორვატეთი, ბრაზილია, ირანი, ტუნისი.

**„გ“ ჯგუფი** – თურქეთი, საბერძნეთი, პუერტო-რიკო, რუსეთი, ჩინეთი, კოტ დივუარი.

**„დ“ ჯგუფი** – ლიტვა, ლიბანი, საფრანგეთი, ესპანეთი, კანადა, ახალი ზელანდია.

თითოეული ჯგუფიდან შემდეგ რაუნდში 4-4 უძლიერესი გუნდი გავა. ისინი მედლებისთვის ბრძოლას პლეი-ოფებით გააგრძელებენ.




მერვედფინალები 4-7 სექტემბრისთვისაა დანიშნული, მეოთხედფინალები – 8-9 სექტემბრისთვის, ნახევარფინალები – 10 სექტემბრისთვის, ხოლო გადამწყვეტი მატჩი – 12 სექტემბრისთვის.

დავძენთ, რომ რუსეთის, ლიტვის, ლიბანისა და გერმანიის ნაკრებებმა ფიბა-სგან „მუნდიალზე“ გამოსვლის უფლება ეგრეთ წოდებული ველური ბარათით უკანასკნელ მომენტში მიიღეს.

რაც შეეხება „ა“ დივიზიონის დებიუტანტს საქართველოს ეროვნულ ნაკრებს, „ევრო-2011“-ის შესარჩევ ტურნირში მის მეტოქეთა ვინაობას 16 იანვარს მოსაწყობი წილისყრის შემდეგ შევიტყობთ.

გამოცა

# წიგნი სტუდენტურ სპორტზე

**საქართველოს სპორტულ ტრადიციებს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ახალგაზრდების გაჯანსაღებასა და სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებას ჩვენი ერი უდიდეს ყურადღებას აქცევდა. სპორტის კლასიკური სახეობების დანერგვის შემდეგ იმათა წარმატებებმა საერთაშორისო სარბიელზე.** სათავეებთან იდგნენ ღირსეული მამულიშვილები – გიორგი ეგნატაშვილი, გულო რცხილაძე, გიორგი ბაბილოძე და სხვები. მოგვიანებით ქართულ სპორტს სახელი და დიდება შემატეს სპორტსმენებმა, რომელთა განვლილ გზაზე მოგვითხრობს გივი მძელურის წიგნი




„სტუდენტური სპორტი საქართველოში“. ავტორი რუდუნებით მოგვითხრობს ქართველი სტუდენტების გამარჯვებებზე საერთაშორისო არენაზე – ოლიმპიურ თამაშებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებზე, მსოფლიო უნივერსიადებზე. წიგნი უხვად არის ილუსტრირებული...

სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი გივი მძელური ორ ათეულ წელზე მეტ ხანს ემსახურა საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ერთ-ერთი დამფუძნებელია: 1992-დან 2007 წლამდე ამ ორგანიზაციის გენერალური მდივანი გახლდათ. მისი ხელმძღვანელობით საქართველოს სტუდენტთა ნაკრებმა 7 მსოფლიო უნივერსიადასა და თხუთმეტ მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზა.

ინტერნეტიდან



## სომხები ფეხბურთს აფასებენ

**სომხეთის ცენტრალურმა ბანკმა გამოუშვა სერიიდან „მსოფლიო ფეხბურთის მეფეები“ სამახსოვრო მონეტა „კრუიფი“. ლეგენდარული ჰოლანდიელი ფეხბურთელის იოჰან კრუიფისადმი მიძღვნილი. ამ სერიის მონეტებს გამოუშვებენ 2010-2011 წლებში.**

იოჰან კრუიფი თამაშობდა ისეთ ცნობილ კლუბებში, როგორიცაა „აიაქსი“ და „ბარსელონა“, მსოფლიო ჩემპონატის „ვერცხლის“ პრიზიორია, ნიდერლანდების ნაკრებში ითამაშა 48 მატჩი. გაიტანა 34 გოლი. „აიაქსთან“ ერთად ზედიზედ სამჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი.

ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ გახდა მწვრთნელი. 1989-1996 წლებში მისი ხელმძღვანელობით „ბარსელონა“ ოთხჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი, აგრეთვე ევროპის თასის მფლობელი.

მის სახელთანაა დაკავშირებული ეგრეთწოდებული ტოტალური ფეხბურთი.

## უჩვეულო სიტუაციებში

**ალბათ იცით, ზოგჯერ რა წარმოუდგენელ სიტუაციებში მოევლინებიან ხოლმე ბავშვები ამ ქვეყანას. თუმცა შეუდარებელია ის, რაც დაემართა ჩილელ შტანგისტ ქალს. პეკინის ოლიმპიადის მონაწილემ ელისაბედ პობლეტუმ ბიჭი გააჩინა... ვარჯიშის დროს.**



თავად სპორტსმენის თქმით, მან არც კი იცოდა, რომ ფეხმძიმედ იყო. თუმცა მომხდარიდან ერთი კვირით ადრე თავს შეუძლოდ გრძნობდა. მშობიარობა ადრეული გამოდგა და 6-თვიანი პატარა ინტესიური თერაპიის განყოფილებაში იმყოფება.

ინციდენტი, ჩილეს ინტერნეტ-გამოცემა ტეგას ცნობით, ბრაზილიის სან-პაულუში მოხდა. სპორტსმენი ქალი იყო საწვრთნელ შეკრებაზე. ვარჯიშის დროს თავი ცუდად იგრძნო და ტუალეტისკენ გაეშურა, სადაც მოიმშობიარა სხვების დაუხმარებლად.

ეს პირველი შემთხვევა როდია, როდესაც სპორტსმენ ქალებს ისე იტაცებს ვარჯიში, რომ ვერც კი იგებენ თავიანთ ორსულობას. მაგალითად, 23 წლის ბრაზილიელმა კალათბურთელმა სილვია კრისტინამ, ქვეყნის ნაკრებში რომ გამოდიოდა, 3 დღის შემდეგ იმშობიარა, როცა გაიგო, რომ ფეხმძიმედ იყო.

მას ეგონა, წამონაზარდი მუცელზე რომ გაუჩნდა, თიაქარი იყო. ის კი შვიდთვიანი ბავშვი ყოფილა.

მსგავსი ისტორია დაემართა კოლუმბიელ მოკრივე ქალს ფრანსია ელენა ბრავოს, სერია WBC ჩემპიონობას რომ აპირებდა. მან თავისი ფეხმძიმობა ბრძოლის წინ აწონვაზე შეიტყო. ორთაბრძოლა გადაიდო. ფეხმძიმე ქალბატონს კი იოლი მშობიარობა და ბედნიერი დედობა უსურვეს.

## ორიგინალობა მოიშველიეს

**ინგლისურმა „ევერტონმა“ გადაწყვიტა, ორიგინალური ხერხით გაავრცელოს ბილეთების ნაწილი ევროპის ლიგის მე-6 ტურის მატჩზე ბელორუსიის ბატესთან, ორ-ბილეთიან 50 პაკეტს შესთავაზებენ იმათ, ვინც 10 გირვანქამდე სტერლინგით დარეგისტრირდებიან, რომელიმე ბუკმეკერულ საიტზე, ის კი „ევერტონის“ პარტნიორია. აქ იმოქმედებს პრინციპი „ვინ – წინა და ვინ – უკანა“.**




## ფერდინანდს ღალატს აბრალებენ

**სანამ „მანჩესტერ იუნაიტედის“ ირგვლივ ათასი ჭორი ვრცელდება, ფერდინანდი ტრავმებს იშუშებს. იძულებითი შვებულების დროს ფეხბურთელი დიდ დროს ატარებს თავაის ცოლთან რებეკა ელისონსა და ორ ბავშვთან.**

თუმცა ეს სულაც არ აწყობს „ყვითელ“ პრესას, ამიტომაც ეძებს ფეხბურთელის ცხოვრებაში გამოსაჭენებელ ფაქტებს. ადრეც დაგვიწერია, რომ ფერდინანდმა გამოუშვა ჟურნალი მამაკაცებისთვის „№5“ და მის თილისმად მიიწვია ფრანგი ფოტომოდელი ფრანსუაზა ბუფალი, ერთხელ რომ განაცხადა: „მე ისეთი ლამაზი ვარ, რომ სამოდელო სააგენტომ არც კი იცის, სად გამომიყენოს“.



ამ დღეებში ისინი შეხვდნენ, რათა ემსჯელათ მომავალ თანამშრომლობაზე. ასეთი დიდებული შესაძლებლობით რომ ისარგებლეს, ბულვარულმა, გაზეთებმა სცადეს დიდი სკანდალის აგორება, მაგრამ ფეხბურთელის ცოლი „ვერ წამოიკიდეს“, რადგან მან იცოდა თავისი ქმრის ერთგულების შესახებ და ეჭვიანობის სცენები არ გაუმართავს.

◉ ერთი ტელესიუჟეტის გამო

# მოგვწონს სიტყვა „საუცხოო“, არ ვენდობით „შინაურ მღვდელს“



**გული დასწყვიტეს უმშვენიერეს ქალბატონს... რას ვიზამთ, საქართველოა... ახლახან ტელევიზიით აჩვენეს სიუჟეტი, თუ როგორ შველის მსოფლიოს „შემაზანზარებელ“ „ღორის გრიპს“ ცნობილი ქართველი ჰომეოპათის თინათინ თოფურიას მიერ დამზადებული სამკურნალო საშუალებები. და, რაღა თქმა უნდა, იქვე გამოვიდნენ ამ მეთოდის მოწინააღმდეგენი. მათი საუბრიდან, სამწუხაროდ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ, სულო ცოდვილო, ზოგ-ზოგ ჩვენს გამოჩენილ მედიკოსს, მგონი, არც კი აძლევს ხელს, რომ ვინმე თავისი „პროდუქციით“ ეცილებოდეს უცხოეთიდან შემოსული „ღორის გრიპის“ საწინააღმდეგო პრეპარატების გასაღებისას.**

**ეს აზრი გავუზიარე კიდეც ქალბატონ თინათინს, რომელმაც, თქვენი ჭირიმეთ, მტრებს ნუ მომიმატებთო, მითხრა, თუმცა დაამატა: ჩვენი სამკურნალო საშუალებებით კმაყოფილი უამრავი ადამიანი ვიცით, თითქმის არც ერთ მათგანს, გრიპი არ გაჰკარებიაო.**

ჰომეოპათია, ანუ სამკურნალო სისტემა, რომლის მიზანია, ბუნებრივი საშუალებების მცირე დოზებით სწრაფად განკურნოს ადამიანი, რა გასაკვირია, რომ კოლხი მედეას ქვეყანაშიც განვითარებული ყო. ამ სისტემას უკვე კარგა ხანია წარმატებით იყენებენ მთელ მსოფლიოში. არსებობს ჰომეოპათიის აკადემია, რომლის საპატიო რექტორია მსოფლიოს წამყვანი ჰომეოპათი, ალტერნატიული ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჟორჟ ვიტულკასი, ხოლო საქართველოში აკადემიის ფილიალს ხელმძღვანელობს ვიტულკასის მოწაფე თინათინ თოფურია – ევროკავშირის ექსპერტი, საერთაშორისო აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრი, საქართველოს ჰომეოპათთა კავშირის თავმჯდომარე და ასე შემდეგ და ასე შემდეგ, რომელსაც ჰომეოპათია შესწავლილი აქვს გერმანი-



ის ჰომეოპათიის ინსტიტუტში, კლასიკური ჰომეოპათიის საერთაშორისო აკადემიაში, ასევე შინკარანის (ინდოეთი), შერის (ინგლისი), მარკო ვიჩის (ისრაელი), ლუკასის (საბერძნეთი), გრეის (ამერიკა) სემინარებზე...

საქართველოს ჰომეოპათთა კავშირი 2005 წელს მიიღეს ევროკავშირში... ქალბატონი თინათინის, მისი კოლეგების, მოწაფეების მოღვაწეობა ცნობილია საქართველოში, აკადემიის სამკურნალო ცენტრში სხვადასხვა სპეციალობის საუკეთესო ექიმები ყოველგვარი ქიმიის გარეშე მკურნალობენ ნებისმიერ ქრონიკულ და მწვავე დაავადებებს, მაგრამ აი, ამ ავადსახსენებელი „ღორის გრიპის“ შემთხვევაში ზოგმა ჩვენმა მედიკოსმა „შორს დაიჭირა“ ჰომეოპათიური საშუალებების გამოყენების უპირატესობა. რატომ? მე ვერაფერს გეტყვითო, ქალბატონმა თინათინმა.

– ჩვენ ახალი არაფერი შეგვიქმნია, – მიამბობს იგი, – რასაც „ქათმის გრიპის“ დროს ვთავაზობდით მოსახლეობას, იმას ვთავაზობთ ახლაც. მაშინ სხვადასხვა სამეცნიერო ინსტიტუტთან ერთად შევქმენით მკურნალობის მთელი სქემა, რომელშიც მონაწილეობდნენ ცნობილი ჰომეოპათები, მიკრობიოლოგები, ეკოლოგები, ქიმიკოსები, ბიოქიმიკოსები, ვირუსოლოგები... და ძალზე ეფექტიანი გამოდგა სამკურნალო საშუალებები.

**– როგორ იღებდა მოსახლეობა ამ წამლებს, ქალბატონო თინათინ?**

– უფრო, წინასწარ, გრიპით დაავადებამდე, გრიპის სეზონის დადგომის წინ... გრიპის დროსაც... წამალს **„თოფური“** დავარქვი...

**– ესე იგი, თქვენი გვარისაა?..**

– „თოფური“ მეგრულად თაფლია, ჩემო კარგო... ჯერ ერთი, ჩვენს მიერ დამზადებულ წამალში თაფლის მინარევია, შეიცავს ფუტკრის რძეს, მტვერს... და, თანაც, მოსახლეობას აღარ აერევა იგი სხვა ჰომეპათიურ წამლებში, რომლებსაც ვიღაც-ვიღაცები, ცხადია, ამზადებენ და გასაღებისას ჩემს სახელს იყენებენ.

**– ამბობენ, რომ „ქათმის გრიპის“ დროს თქვენს პრეპარატს კარგი შედეგი ჰქონდა, მაგრამ „ღორის გრიპის“ შემთხვევაში ეჭვები გაჩნდა, რატომ?**

– აკი გითხარით, ეს პრეპარატები გამოიყენება, საერთოდ, გრიპის შემთხვევაში, ძირითადად მანამ, სანამ ადამიანს გრიპი შეეყრება... სხვათა შორის, 45-მდე პრეპარატია... ზოგი გარეგანი ხმარებისაა, ზოგიც დასალევი... ესენია იმუნოკორექტორები, ბრონქებისა და ფილტვების გასაძლიერებელი საშუალებები... აგრეთვე, პრეპარატი, რომელიც ვირუსს დაბლოკავს და არ აძლევს მას გამრავლების საშუალებას. ამ გაზაფხულზე, როგორც კი „ღორის გრიპზე“ ალაპარაკდნენ, მითხრეს, დამემზადებინა პრეპარატი და მეც დავამზადე, მაგრამ აი, ახლა უკვე წინააღმდეგობას წავაწყდი...

**– რატომ?**

– „ტამიფლუ“ ურჩევნიათ... ჯერ მოსახლეობას მოუწოდეს, ექიმის დანიშნულების გარეშე მიიღეთო, შემდეგ, როგორც კი გრიპი დაგემართებათ, მიიღეთო. ხალხი დაიბნა...

**– ქალბატონო თინათინ, მგონი, მარტო ქართულშია სიტყვა „საუცხოო“... ქართველები, საკუთარს ყველაფერს უცხოურს ვამჯობინებთ და წამალი რა გამონაკლისია?.. არადა, ამასაც ვამბობთ ხოლმე, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო...**

– სამწუხაროდ, ასეა...

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ პრეზენტაცია

## წარმატებები უსურვეს

**გაიმართა ჰომეოპათიური და ქართული ტრადიციული მედიცინის კლინიკა„ოჯახის მკურნალის პრეზენტაცია. პრეზენტაციას დაესწრნენ ექიმები, საზოგადო მოღვაწეები და ჰოლანდიელი სტუმრები. აღინიშნა ქართველი ჰომეოპათების მაღალი მიღწევები... უსურვეს წარმატებები ახალ სამედიცინო დაწესებულებას.**

◉ ინფორმაცია

## ამოქმედდა მამათა მონასტერი

**გურჯაანის რაიონის სოფელ ჭერემში, რომელიც მე-5 საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასალმა დააარსა, მამათა მონასტერი ამოქმედდა.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს ვაზისუბნის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ეკლესიის მოძღვარმა მამა გრიგოლმა (მთვარელიშვილი) განუცხადა, წირვა-ლოცვა წვეროდაბალის, ანუ თელეთის წმიდა გიორგის სახელობის ეკლესიაში აღევლინება. – ვახტანგ მეფისეული ეკლესიის გარშემო აშენდა კელიები. აქ მყოფი მამები ზრუნავენ იმაზე, რომ ნაქალაქარ ჭერემში კვლავ დუღდეს სამონასტრო ცხოვრება, – აღნიშნა მამა გრიგოლმა.**

ჯი-ეიჩ-ენი

№2/1261-08

## განჩინება

**საქართველოს სახელით**

9 დეკემბერი 2009 წელი თბილისი

**თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მაკა ჭედია**

მოსარჩელე – სს „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგი“

მოპასუხეები – დავით ნათაძე, ნუგზარ ფოცხვერაშვილი;

დავის საგანი – ზიანის ანაზღაურება

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საჯარო შეტყობინების განხორციელების საკითხი და

**გამოარკვია:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2008 წლის 07 მარტს სარჩელით მომართა სს „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგმა“ მოპასუხეების დავით ნათაძის და ნუგზარ ფოცხვერაშვილის მიმართ და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. სარჩელი სამოქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წარმოებაში მიიღო 2008 წლის 24 მარტს.

მოპასუხეებს დავით ნათაძეს და ნუგზარ ფოცხვერაშვილს, მოსარჩელე სს „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის“ სარჩელისა და თანდართული საბუთების შინაარსი ეცნობა საჯარო შეტყობინებით.

ვინაიდან მოპასუხეების დავით ნათაძის და ნუგზარ ფოცხვერაშვილის ადგილსამყოფელი უცნობია, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელე სს „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის“ სასამართლოს მთავარი სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინების მეშვეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია, გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

ამდენად, მოპასუხეების ადგილსამყოფელი უცნობია და მათ სხდომის დღის შესახებ უნდა ეცნობოს საჯარო პუბლიკაციის მეშვეობით.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე და 285-ე მუხლებით და

**დაადგინა:**

1. მოპასუხეებს დავით ნათაძეს და ნუგზარ ფოცხვერაშვილს სასამართლო მთავარი სხდომის დროსა და ადგილის შესახებ ეცნობოთ საჯარო შეტყობინებით;

2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია დავით ნათაძეს და ნუგზარ ფოცხვერაშვილს განჩინებითატყობინებს შემდეგს:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია №2/1261-08 საქმე სს „საქართველოს საპენსიო და სადაზღვევო ჰოლდინგის“ სარჩელი დავით ნათაძის და ნუგზარ ფოცხვერაშვილის მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

აღნიშნულ საქმეზე მთავარი სხდომა დანიშნულია 2009 წლის 30 დეკემბერს 11:00 საათზე, რომელიც ჩატარდება ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6 სხდომის დარბაზი №24.

დავით ნათაძეს და ნუგზარ ფოცხვერაშვილს განემარტოთ:

აქ ასეთ შემთხვევაში სასამართლო უწყება კანონით დადგენილი წესით ჩაბარებულად ითვლება განჩინების გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს;

ბქ თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა მოსარჩელე ან მოპასუხე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით სასამართლო უფლებამოსილია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XXVI თავის საფუძველზე გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება. თუ სასამართლო სხდომაზე არ გამოცხადდა არც ერთი მხარე, რომლებსაც გაეგზავნათ შეტყობინება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე მუხლებით დადგენილი წესით სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ, რასაც უკავშირდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 276-ე და 278-ე მუხლებით გათვალისწინებული შედეგები;

გქ განჩინება გამოქვეყნდეს მოსარჩელის ხარჯით;

დქ განჩინებაზე კერძო საჩივარი არ დაიშვება.

**მოსამართლე მაკა ჭედია**

**აბაშის მუნიციპალიტეტის გამგეობა და საკრებულო მწუხარებით იუწყებიან დიდებული მოქალაქის, თვალსაჩინო სპეციალისტის**

**რეზო კვარაცხელიას**

**გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლო ნათესავებს.**

**ირაკლი ანდრიაძე ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს გივი კვიჭიძის ოჯახს სიძის**

**აკაკი (კაკოქ გრიგოლის ძე ვაშაკიძის**

**გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს ქალთა საბჭო მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ციალა შარაშიძეს მეუღლის**

**გურამ კიკალიშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**ცხადდება განმეორებითი აუქციონი შპს „იოლიტა აგროს“ ქონების სარეალიზაციოდ. აუქციონი ჩატარდება 2010 წლის 11 იანვარს 17 საათზე, ქ. თბილისში, აბუსერისძე-ტბელის №13. აუქციონზე ქონება გაიყიდება სამ ლოტად.**

ლოტი №1 – 99.7 ჰა მიწის ნაკვეთი, ხობის რაიონი (საწყისი ფასი 100 000 ლარი, ბიჯის ღირებულება 5000 ლარიქ;

ლოტი №2 – 100 ჰა მიწის ნაკვეთი, სენაკის რაიონის სოფელი თეკლათი (საწყისი ფასი 60 000 ლარი, ბიჯის ღირებულება 3000 ლარიქ;

ლოტი №3 – ხილის ჯემები შუშის 340 გრ. ქილებში, ნახევარფაბრიკატი 26586 ქილა, მზა პროდუქცია 2742 ქილა (საწყისი ფასი 41 000 ლარი. ბიჯის ღირებულება 2000 ლარიქ;

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია განცხადების შეტანა და ბე-ს გადახდა, რომელიც ყოველი ლოტისთვის განისაზღვრება საწყისი ფასის 10 პროცენტით. განცხადებები მიიღება ყოველ სამუშაო დღეს მისამართზე: ქ. თბილისი, აბუსერისძე-ტბელის №13. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 877 959531, 899 552344.

**რეკლამა** „საქართველოს რესპუბლიკაში“ გ. ახვლედიანის ქ. №19. 99-62-77; 899 32-85-76.

## დღესასწაული

# დიდმოწამე ბარბარე



**17 დეკემბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დიდმოწამე ბარბარეს იხსენიებს.**

ბარბარე მდიდარი, წარმართი დიოსკორეს ქალიშვილი იყო. ქალიშვილის არაჩვეულებრივი სილამაზის გამო მამამისმა გადაწყვიტა, იგი უცხო თვალთაგან დაფარულად აღეზარდა და ამისთვის ააგო კოშკი, სადაც ის ცხოვრობდა... ბარბარემ ქრისტე ირწმუნა და ჩუმად მოინათლა... ამ დროს დიოსკორეს სახლში დიდებული აბანო შენდებოდა. ბარბარემ აბანოს პროექტში ქრისტიანული სამების გამოსახატავად ორ ფანჯარას მესამე დაამატებინა, ხოლო შესასვლელის თაღზე ჯვარი გამოასახვინა. ბარბარეს მოქმედებამ განარისხა დიოსკორე. სასტიკი წამების შემდეგ საკუთარმა მამამ თავი მოკვეთა მას.

ბარბარეს წმინდა ნაწილები კონსტანტინეპოლში გადაასვენეს, მოგვიანებით – კიევში.

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

### 17 დეკემბერი

**28-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.**

**ხსენება დიდმოწამე ბარბარესი და მოწამე იულიანესი (დაახლ. 306წ; ღირსი იოანე დამასკელისა (დაახლ.760წ; ღირსი იოანე პოლივოტელ ეპისკოპოსისა (VIIIს.**



ამოდის 07.22
ჩადის 16.30



ამოდის 16.49
ჩადის 08.19

### დაიბადნენ:

**1525 – ჯოვანი პერლუიჯი დე პალესტრინა,** დიდი იტალიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1594 წელს.

**1867 – ადოლფ დირი,** გერმანელი ეთნოგრაფი და ენათმეცნიერი, კავკასიოლოგი, პროფესორი. პირველი საენათმეცნიერო-კავკასიისმცოდნეობითი ჟურნალის („ჩაუცასიცა“ს დამაარსებელი. გარდაიცვალა 1930 წელს.

**1867 – შიო არაგვისპირელი,** მწერალი, გარდაიცვალა 1926 წელს.

**1918 – ირაკლი ციციშვილი,** არქიტექტორი, აკადემიკოსი, საბჭოთა კავშირის გმირი. გარდაიცვალა 2001 წელს.

**1925 – ოთარ კობერიძე,** თეატრისა და კინოს მსახიობი.

### გარდაიცვალნენ:

**1976 – არჩილ ხარაძე,** გამოჩენილი მათემატიკოსი, საქართველოში მათემატიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი.

**1830 – სიმონ ბოლივარი,** სამხრეთ ამერიკის ესპანური კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მეთაური.

**1881 – ლუის ჰენრი მორგანი,** ამერიკელი ეთნოგრაფი და არქეოლოგი.

**1907 – უილიამ ტომსონი,** ინგლისელი ფიზიკოსი, თერმოდინამიკის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

### მოვლენები:

**1790** – მეხიკოში აღმოაჩინეს აცტეკების ქვის კალენდარი.

**1957** – აშშ-მ გამოსცადა პირველი საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტა „ატლასი“.

**1962** – „ბითლზების“ პირველი გამოსვლა ტელევიზიით.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ბუთანი** – ეროვნული დღე.

**ყაზახეთი** – ხსოვნის დღე.

**მედიანიუსი**

## დაიჯესტი

### „ესეც ნერონის წყალი!“



**ადუღებულ წყალს ძველთაგანვე სვამდნენ, რის თაობაზე ჰეროდოტე წერდა: „დიდმა მეფემ (კიროსმაძ ლაშქრობა რომ დაიწყო, თავის ქვეყნიდან ნახირის დიდძალი ჯოგი გამოარეკინა და ჰაოსპადან წყალი წაალებინა. მხოლოდ ამ წყალს სვამს კიროსი: მას ადუღებენ და ყველგან მიაქვთ, სადაც მეფე მიბრძანდება, ვერცხლის ჭურჭლით“.**

წყალს ძველი რომაელებიც ადუღებდნენ. პლინიუს უფროსის ცნობით, „იმპერატორმა ნერონმა მოიგონა წყლის ადუღება და შემდგომ მისი თოვლში ჩადგმული წყლის ჭურჭელში გაცივება. ეს წყალი აუდუღარზე გაცილებით გემრიელია, რადგან უფრო მეტად გრილდება. იმისათვის, რომ ბინძური, უვარგისი წყალი სასმელად ვარგისი გახდეს, საჭიროა მისი იმდენ ხანს დუღილი, ვიდრე არ განახევრდება“.

პლინიუს უფროსის მონათხრობი ნათელს ხდის ნერონის ცნობილ ირონიულ გამონათქვამს: „ესეც თქვენი ნერონის ანადუღარი წყალი!“ – როცა იგი, დევნილი, ღონეგამოცლილი იძულებული იყო ანადუღარის მაგივრად ჭაობის მღვრიე წყალი ესვა.

### „სკოლა“ ავი ძაღლებისთვის

**გარშემო მყოფთათვის განსაკუთრებით საშიში ძაღლების ევროპაში პირველი სარეაბილიტაციო ცენტრი ბერლინში მოქმედებს.** ამ პენიტენციალურ დაწესებულებაში მებრძოლ, ასევე სასამართლოს მიერ საზოგადოებისთვის განსაკუთრებით საშიშად მიჩნეულ ძაღლებს ხელახლა წვრთნიან. ზოგიერთ შემთხვევაში ასეთ სახიფათო ცხოველთათვის, სასიკვდილო განაჩენიც კი გამოაქვთ, როცა მიიჩნევენ,



რომ მათი „გამოსწორება“ შეუძლებელია. აღსანიშნავია, რომ თითოეული „პატიმრისთვის“ საგანგებო პროგრამას ამუშავებენ.

სახიფათო ძაღლების გამოსასწორებელი კოლონიის ადგილსამყოფელი მკაცრადაა გასაიდუმლოებული, რაც იმით აიხსნება, რომ მას სასამართლოს დადგენილებით უკმაყოფილო ავი ძაღლების პატრონები არ მიადგნენ.

### ეული სამურაის ომი

**პორუჩიკი ხირო ონოდა ფილიპინებზე 1944 წელს, იაპონიის იმპერატორის სადივერსიო რაზმის შემადგენლობაში მოხვდა ამერიკელთა წინააღმდეგ საომრად, რომლებსაც იქ სამხედრო ბაზები ჰქონდათ განლაგებული.** 1945 წელს მან თვითმფრინავიდან ჩამოგდებული სააგიტაციო ფურცლიდან იაპონიის კაპიტულაციის შესახებ შეიტყო, მაგრამ ეს პროვოკაციად მიიჩნია და პარტიზანული ომი... მარტოკამ განაგრძო,



რომლის დროს 130 ფილიპინელი სამხედრო მოსამსახურე გაანადგურა. 1972 წელს მას შემთხვევით იაპონელი ტურისტი გადააწყდა, მაგრამ იმპერატორის ჯარის ოფიცერმა უშუალო მეთაურის ბრძანების გარეშე იარაღის დაყრაზე უარი განაცხადა. ამიტომ საჭირო გახდა ტოკიოდან მისი უფროსის საგანგებოდ ჩამოყვანა და ხირო ონოდას ოცდაშვიდწლიანი ომი მხოლოდ მას შემდეგ დასრულდა. ამის შემდეგ პორუჩიკი სამშობლოში დაბრუნდა და სპეციალიზებული სკოლა დააარსა, სადაც მოზარდებს პარტიზანული ომის ხერხებს ასწავლიდა.

სხვათა შორის, ფილიპინების ხელისუფალთა მონაცემებით, იქაურ ტყეებში ახლაც 20-30 სამურაი (!ძ პარტიზანობს, რომლებმაც სისხლის ბოლო წვეთამდე ბრძოლის ფიცი თავად იაპონიის იმპერატორის წინაშე დადეს...



### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6734 ლარი |
| 1 ევრო | – 2.5267 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7877 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.7592 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3389 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.0852 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0946 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1179 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4614 ლარი |

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77; 899 32-85-76.

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +2 – +6 |
| ქუთაისი. | +7 – +10 |
| ბათუმი. | +8 – +12 |
| ზუგდიდი. | +4 – +8 |
| თელავი. | +6 – -1 |

## ანეკდოტები

ყველა სიცოცხლე როდი მთავრდება სიკვდილით, ზოგჯერ იგი ქორწინებითაც მთავრდება.

* * *

სხვათა უსიამოვნებების გარდა ცხოვრებაში არის სხვა სიხარულიც.

* * *

მე ვარ ჭკვიანი, კეთილი, ლამაზი... და ყველაფერი ეს მე აღმოვაჩინე.

* * *

ადამიანი თავისი წინაპრებით ამაყობს, მაიმუნი – თავისი შთამომავლებით.



* * *

ვაკეთოთ ცუდი და ცუდად იქ, სადაც ჩვენ არა ვართ.

* * *

ცხოვრება ისეთი ხანმოკლეა, რომ გამოძინება უნდა მოასწრო...

* * *

ადამიანი – ეს ამაყად ჟღერს, მაგრამ საზიზღრად გამოიყურება.

* * *

რამდენიმე ბოროტებიდან უფასო აარჩიე.

* * *

ადამიანი ცხოვრების 30 პროცენტს ძილში ატარებს. დანარჩენი 70 პროცენტის განმავლობაში კი გამოძინებაზე ოცნებობს.

* * *

როდესაც მაძღარი ხარ, გარშემო ყველაფერი ლამაზია.

## ფოტოფაქტები



შობის წინ საჩუქრებზე ოცნებობს ყველა! ამიტომ ბუენოს-აირესის ზოოპარკშიც შიმპანზეების გალიაში გამოკიდეს საალდგომო წინდები. აბა, ერთი ვნახოთ, რა სიურპრიზი გველოდება დღეს? ბანანი!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.